საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 23 ოქტომბერი. 2023 წ. №119 (9651) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი



უძლიერესი მორალური დარტყმა პრეზიდენტზე

კოჭლი იხვი და პატარა კაცები

იხ. 3 გვ.

გიორგი მამაცაშვილი:

იხ. 5 გვ.

ეს არ არის საქართველო!..



იხ. 7 გვ.

პეტრე ბერაია – „ზღვის გუბერნატორი“, ქალაქის თავი, პარლამენტარი, მეცნიერი, კაიუმა

ნაცოცა სირცხვილია!, ნაცოცა სირცხვილია!, ნაცოცა სირცხვილია!..

„რეზიდენტის შეცდომა“

ბიძინა დვალი:

იხ. 4 გვ.

ლაშა ჟვანია: აეროპორტის დაკეტვაზე ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება

ისრაელში მდგომარეობა კვლავ ისეთი დაძაბულია, როგორც იყო 10 დღის წინ, ჩრდილოეთის მხარეს კიდევ უფრო იძაბება, რადგან დღეს ისრაელის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „ჰეზბოლა“ პრაქტიკულად ომში ჩაერთო, ამიტომ ისრაელის ჩრდილოეთ საზღვართან, რომელიც არის საზღვარი ლიბანთან, კილომეტრის პერიმეტრზე ხდება მოსახლეობის ევაკუაცია, – ამის შესახებ ისრაელში საქართველოს ელჩმა, ლაშა ჟვანიამ განაცხადა.

ჟვანიას თქმით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ის მცხოვრებლები, რომლებიც აშკელონში ცხოვრობენ და არ აქვთ თავშესაფარი, ევაკუირებული უნდა იყვნენ.

– ჩვენ კავშირზე ვართ ჩვენს მოქალაქეებთან, რომლებიც რეგისტრირებული არიან საელჩოში და ტელეფონის ნომრები გვაქვს. გუშინ ყველასთან განხორციელდა ზარი და პრაქტიკულად, ყველა მათგანი ჩვენი კონტროლის ქვეშაა. დაგვიდასტურეს, რომ ნაწილი, რომელიც ბინებში ცხოვრობენ და უვლიან მოხუცს ან ოჯახებში მუშაობენ, მათ შესაძლებლობა აქვთ, რომ თავშესაფარი ჰქონდეთ. ნაწილი, რომელთა ოჯახის წევრების ევაკუაცია განხორციელდება, ისინიც გაჰყვებიან ოჯახის წევრებს. ღაზის სექტორის გარშემო შვიდკილომეტრიანი ზოლი მთლიანად ევაკუირებულია და ჩვენ ამ შვიდკილომეტრიან ზოლში საქართველოს მოქალაქეები დღეისათვის არ გვყავს“, – განაცხადა ჟვანიამ. ელჩის განცხადებით, გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს, აეროპორტი იკეტება.

„აეროპორტის დაკეტვაზე ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. რა სიახლეც გვაქვს, არის ის რომ, კომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ შეწყვეტს პირდაპირ რეისების განხორციელებას. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მას რეისები გადააქვს ლარნაკა-თბილისის მიმართულებაზე, დამატებით რეისებს ახორციელებს. რეისებს ყოველდღიურად ახორციელებენ კომპანია „ელალი“, „ისრეარი“ და „აირკი“. ისრაელიდან საქართველოში გამოფრენის მსურველებს აქვთ ეს ალტერნატივები.

ბოლო ორი კვირის მანძილზე 11 000-ზე მეტი ადამიანი გამოემგზავრა ისრაელიდან საქართველოში – ბათუმის, ქუთაისის და თბილისის მიმართულებით. ასევე, სოციალურ ქსელსაც ვადევნებთ თვალს და თუ ვინმე ცხელ ხაზზე ვერ ახერხებს დაკავშირებას, სოციალური ქსელით ვიგებთ, რომ რამე სჭირდებათ. დღეს მოხდა ასეთი კავშირი ახალგაზრდა დედასთან, იქ სამი შვილით იმყოფება და დავეხმარეთ, შეიძინა პირდაპირი ავიაბილეთი და დღეს საქართველოში მოემგზავრება. მთავარია, რომ ინფორმაცია გავრცელდეს.

როდესაც არასწორი ინფორმაცია ვრცელდება, მერე იწყება ნერვიულობა ჩვენს მოქალაქეებშიც, რომლებიც ისრაელის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ. როდესაც სწორ ინფორმაციას იგებენ, უფრო გონივრული ნაბიჯების გადადგმა იწყება. ზოგიერთს გადაწყვეტილი აქვს, რომ დარჩეს, ზოგს უნდა გამგზავრება ისრაელიდან საქართველოში და ასეთ ადამიანებს ვაკვალიანებთ, – განაცხადა გუშინ ელჩმა.

აშშ – ევროკავშირის სამიტის ერთობლივი განცხადება:

სრულად ვაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას

ჩვენ სრულად ვაგრძელებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ქვეყნის ევროატლანტიკური პერსპექტივის მხარდაჭერას, – ამის შესახებ ნათქვამია აშშ-ევროკავშირის სამიტის ერთობლივ განცხადებაში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ აშშ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ადასტურებენ ერთგულებას ტრანსატლანტიკური პარტნიორობის მიმართ.

„ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები, რომლებიც დაახლოებით 800 მილიონ მოქალაქეს წარმოადგენენ, გაერთიანებულნი არიან ღირებულებებით, დაკავშირებულნი არიან დედამიწაზე ყველაზე დინამიკური ეკონომიკური ურთიერთობებით. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ერთგულებას ტრანსატლანტიკური პარტნიორობის მიმართ. 2021 წლის ივნისში გამართული აშშ-ევროკავშირის ბოლო სამიტის შემდეგ, მსოფლიო უპრეცედენტოდ შეიცვალა და ჩვენ საპასუხოდ ამბიციური ნაბიჯები გადავდგით. ჩვენ ერთად ვმუშაობთ მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად რეგიონში, მთელ მსოფლიოში, მათ შორის უკრაინის ურყევი მხარდაჭერით“, – აღნიშნულია განცხადებაში.

აშშ-ევროკავშირის სამიტის ერთობლივ განცხადებაში, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი, ნათქვამია, რომ ყველა პარტნიორმა უნდა გააგრძელოს ევროპულ გზაზე წინსვლისთვის აუცილებელი რეფორმების განხორციელება.

„ჩვენ სრულად ვაგრძელებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ქვეყნის ევროატლანტიკური პერსპექტივის მხარდაჭერას. ვადასტურებთ ჩვენს საერთო ვალდებულებას დასავლეთ ბალკანეთში სტაბილურობისადმი, ჩვენს მხარდაჭერას რეგიონის ევროკავშირის პერსპექტივისადმი. ყველა პარტნიორმა უნდა გააგრძელოს ევროპულ გზაზე წინსვლისთვის აუცილებელი რეფორმების განხორციელება“, – ნათქვამია განცხადებაში.

„მესაქონლეობა ექსპო 2023“ და ამერიკელთა დახმარება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, რობინ დანიგანმა მესაქონლეობის გამოფენა „მესაქონლეობის ექსპო 2023“ მისასალმებელი სიტყვით გახსნეს.

„ჩვენთვის მესაქონლეობის მხარდაჭერა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მნიშვნელოვანია, რომ უკვე მესამედ იმართება გამოფენაც, „მესაქონლეობის ექსპო“, რომლის ფარგლებში, ჩვენს ფერმერებს საშუალება აქვთ, წარმოადგინონ პროდუქცია, ასევე, გაეცნონ დარგის სიახლეებს. მადლობა მინდა გადავუხადო აშშ-ის ახალი ელჩს გამოფენაზე მობრძანებისთვის. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი, რომელიც ჩვენს ფერმერებს, მეწარმეებს უწყობს ხელს, აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია უვნებლობის სტანდარტების დაცვით“, – აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

აშშ-ს ელჩმა, რობინ დანიგანმა სიტყვით გამოსვლისას საქართველოში მესაქონლეობის სექტორის განვითარებისთვის საქართველოს მთავრობასთან, ფერმერებთან და ინდუსტრიულ პარტნიორებთან გატარებული სამუშაოების შესახებ ისაუბრა.

„მოხარული ვარ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ვმონაწილეობ ამ წლის მესაქონლეობის ექსპოზე, რომელიც მხარდაჭერილია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ. აშშ ახორციელებს ინვესტიციას საქართველოში რძისა და ხორცის სექტორებში, რათა ისინი იყოს მდგრადი, თანამედროვე და მეტად პროდუქტიული. ამისათვის ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან, ინდუსტრიულ პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. ეს არის ჩემი პირველი ღონისძიება საქართველოში. ჩვენ მრავალი წელია, ვმუშაობთ ქართველ ფერმერებთან, აგრობიზნესებთან და ქართველ დაინტერესებულ პირებთან და, რაც მთავარია, საქართველოს მთავრობასთან, რათა დავეხმაროთ მათ ამ სექტორის გაძლიერებაში“, – აღნიშნა აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რობინ დანიგანმა.

მესაქონლეობის გამოფენა ლისის ტბის მიმდებარედ ჩატარდა.

პრეზიდენტს პროკურატურით ემუქრებიან!

საფრანგეთის გასამართლებული ჰყავს ჟაკ შირაკი, ნიკოლა სარკოზი, ფრანსუა ფიიონი

რა შემთხვევაში დაინტერესდება პროკურატურა ზურაბიშვილით?!

ირა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი მთავრობის ნებართვის გარეშე ისევ გაგზავნის ვოიაჟებს უცხოეთში?! იმის გამო, რომ „ქართულ ოცნებას“ ერთსა და იმავე საკითხზე ხელმეორედ იმპიჩმენტის გამოცხადება აღარ შეუძლია, ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტი კვლავაც გაემგზავრება იქ, სადაც მოისურვებს?! ასეთი შემთხვევისთვის „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ჩანს, სათადარიგო გეგმა შეიმუშავა და ამ გეგმის ნაწილია **ირაკლი კობახიძის** მინიშნება.

„ზურაბიშვილი, ალბათ, კვლავაც განაგრძობს კონსტიტუციის დარღვევას: „ხვალაც დაარღვევს, რა შეუშლის ხელს? „ნაცმოძრაობის“ იმედი კვლავაც აქვს, ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება არ ჰქონდეს, არის პროკურატურა, სისხლის სამართლებრივი გამოძიება“.

მართალია, ირაკლი კობახიძე არ მალავს, რომ გაუჭირდება სამართლებრივად ამ საკითხზე უფრო დეტალებში შესვლა და პასუხის გაცემა, მაგრამ ადასტურებს, რომ სამომავლოდ კონსტიტუციის დარღვევა შეიძლება უკვე იძენდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს. კობახიძის მიერ პროკურატურის ხსენება დაშინების მცდელობად აღიქვა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა და აღნიშნა, რომ მას, როგორც ნიკო ნიკოლაძის შთამომავალს, ვერ შეაშინებენ.

„ევროოპტიმისტების“ წევრი **ხატია დეკანოიძე** არ გამორიცხავს, პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს. რა მუხლს მიუსადაგებენ პრეზიდენტს, ეს ხატია დეკანოიძისთვის უცნობია, თუმცა ეჭვობს, რომ პრეზიდენტს შეიძლება ამ ვიზიტებისას ფულის გაფლანგვა დააბრალონ.

რა შემთხვევაში შეიძლება დაინტერესდეს პროკურატურა პრეზიდენტის საქმით?

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** აცხადებს, რომ, ალბათ, მუქარა იყო ირაკლი კობახიძის მხრიდან, როცა პრეზიდენტთან მიმართებით სისხლის სამართლის საქმე ახსენა, თუმცა იქვე თავადვე თქვა კობახიძემ, ეს საკითხი ბოლომდე არ მაქვს გამორკვეულიო.

ვახტანგ ხმალაძის შეფასებით, საქმე ისაა, რომ თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის სისხლის სამართლებრივი დევნა დაუშვებელია, ანუ პრეზიდენტს ვერავინ წაუყენებს ბრალდებას, დანაშაული რომც ჩაიდინოს თანამდებობაზე ყოფნისას. დანაშაული ჩაიდინა თუ არა, ეს შემდგომ სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება, მაგრამ სანამ პრეზიდენტი თანამდებობაზე იმყოფება, მისთვის ბრალდების წარდგენა კონსტიტუციით აკრძალულია.

„ხომ შეიძლება, პრეზიდენტმა რაღაც ისეთი ჩაიდინოს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მაგრამ პრეზიდენტი როცა თანამდებობაზე აღარ იქნება, თუკი ამ დანაშაულისთვის ხანდაზმულობის ვადა არ იქნება გასული, პროკურატურას შეეძლება უკვე ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალდების წაყენება. ასე მოხდა სააკაშვილთან მიმართებით, ასევე, არაერთ ქვეყანაში წაუყენებიათ ბრალი თავიანთი ყოფილი პრეზიდენტებისთვის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ.

ის, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დარღვევად აღიარა, ამ ტიპის დარღვევის დანაშაულად ჩათვლა არ არის სწორი, რადგან ეს არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით. ასეთი დარღვევისთვის მას ვერავინ წაუყენებს ბრალდებას მას შემდეგაც კი, როცა ზურაბიშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი, თუ, რასაკვირველია, ამასობაში არ ჩაწერეს სისხლის სამართლის კოდექსში რაიმე ისეთი, რომელიც ამის შესაძლებლობას მისცემს მთავრობას. თუმცა ასეთი ჩანაწერი არ იქნება კონსტიტუციური, ალბათ, ამას ისევ მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი“, – აღნიშნა **ვახტანგ ხმალაძემ.** კონსტიტუციონალისტის თქმით, **მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, მთავარია, რომ ასეთი მოქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსი არ აწესებს პასუხისმგებლობას, შესაბამისად, პრეზიდენტის ვოიაჟები დანაშაულად ვერ ჩაითვლება და სისხლის სამართლის კოდექსი რომც აწესებდეს პასუხისმგებლობას ამ ვოიაჟების გამო, სანამ პრეზიდენტი თანამდებობაზე იმყოფება, მას დანაშაულის ჩადენაში ბრალს ვერ წარუდგენენ.**

ანალიტიკოსი **გია აგაშიძე** მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის მხრიდან განმეორებით კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება იყოს საჭირო, რის შესახებაც აღნიშნა კონსტიტუციონალისტმა ირაკლი კობახიძემ.

„ფაქტია, რომ ეს თავხედური დარღვევები არ უნდა ეპატიოს არც ზურაბიშვილს და არც მომავალში ვინც იქნება გინდ პრეზიდენტის თანამდებობაზე, გინდ სხვა რომელიმე მაღალ თანამდებობაზე. უნდა ამუშავდეს სხვადასხვა საკანონმდებლო მექანიზმი იმისთვის, რომ მომავალში აილაგმოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის შესაძლო დარღვევა. აქ რამდენიმე ნიუანსია, რაზეც იურისტები და, პირველ რიგში, კანონმდებლები უნდა შეთანხმდნენ, მათ უნდა გაარკვიონ, რა მექანიზმებია ამისთვის, როდესაც მაღალჩინოსანი მიზანმიმართულად არღვევს კონსტიტუციას, ეს უპრეცედენტო ამბავია.

ჩვენ ვიცით, რომ იურისტებს სხვადასხვა ინტერპრეტაციები აქვთ საკანონმდებლო ბაზის შესახებ, მაგრამ ამას სჭირდება კონსოლიდირებული შეთანხმება არა მხოლოდ კანონმდებლების, არამედ სპეციალისტებთან კონსულტაციის დონეზე. ვფიქრობ, გამოიძებნება გადაწყვეტილება იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ, აილაგმოს როგორც პრეზიდენტ ზურაბიშვილის, ისე სხვა ნებისმიერი მაღალჩინოსნის მიერ კონსტიტუციის დარღვევა“, – აღნიშნა **გია აგაშიძემ** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტ ზურაბიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რეზონანსული გახდება და უცხოელები არ მოგვიწონებენ პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას, საქართველომ უნდა იხელმძღვანელოს საკუთარი სუვერენიტეტით და ევროპას უნდა შეახსენოს, რომ გადახედონ თუნდაც საფრანგეთის ისტორიას. პრეზიდენტი **ჟაკ შირაკი**, პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი**, პრემიერ-მინისტრი **ფრანსუა ფიიონი**, ანუ სამი უმაღლესი თანამდებობის პირი გასამართლებული ჰყავს თავად საფრანგეთს. რა სასჯელი მიუსაჯეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელი იქნება დასავლეთის მხრიდან თითის ქნევა საქართველოს მიმართ. ეს შექმნის კიდევ ერთ ანტიდასავლური განწყობის ტალღას ქართველ საზოგადოებაში.

მანანა ნოზაძე

უძლიერესი მორალური დარტყმა პრეზიდენტზე

კოჭლი იხვი და პატარა კაცები

აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერი, როგორც ვვარაუდობდით, დიდი „შერეკილი“ თვეები აღმოჩნდა. ახალ წლამდე დარჩენილი დროც, როგორც კოჭებში ეტყობა, არ ჩამორჩება და კიდევ მრავალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს. მაგრამ მთელ ნახევარწლიურს რას ვჩივი, როცა საიმპიჩმენტო ოქტომბრის ორკვირეული ვერ მომინელებია.

18 ოქტომბრის პარლამენტის სესიამ ისეთი გემო დამიტოვა პირში, თითქოს მთელი დღე სპილენძის სახელური მეწუწნოს. პარლამენტი, უფრო სწორად მისი „ქართული ოცნების“ ფრაქცია, ასამართლებდა ანუ იმპიჩმენტს უწყობდა საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს. 85 კბილებდაღრჭენილი მგელი უტევდა აჯაგრულ ძუ აფთარს, რომელმაც თავისი სიტყვა ასე ემოციურად დაიწყო: „ეს დღეც დადგა. საქართველო ამასაც მოესწრო. პირველად საქართველოს ისტორიაში იმართება პრეზიდენტის იმპიჩმენტი და ამით თქვენ თავს იწონებთ. სხვა არაფერში და ამაში ვითომ კანონის უზენაესობას ამტკიცებთ. ამ დროს კი 16 ოქტომბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის უზენაესობის გამარჯვება კი არ არის, არამედ ერთპარტიულობის უზენაესობის დამყარება“.

აქვე ვიტყვი: მართალია, მგლებმა მორალურად მოიგეს ეს შეტევა სიმართლის გამო, იმის გამო, რომ ქალბატონი პრეზიდენტი აშკარად მტყუანი იყო ამ დავაში და ეს თვითონაც კარგად იცოდა, მაგრამ მაინც წაავეს, ხმები არ ეყოთ. SIC!-ეს მოგება განსასჯელის ტაქტიკის შედეგი გახლდათ. მან წინა დღეს პარლამენტის ოპოზიციურ ნაწილს მოუწოდა, არ დასწრებოდნენ სხდომას – თუ გინდათ, რომ სურათი დადგეს ძლიერი, გარეთ დადექით ამ ანტიევროპული იმპიჩმენტის წინააღმდეგო. ოპოზიციამ კი, რომელსაც ისედაც ჩაფიქრებული ჰქონდა ეს იკლიკანტური სვლა, გმირულად დაუჭირა მხარი მისგანაც მრავალგზის შერისხულ პრეზიდენტს (ააშენოთ ღმერთმა, იმათ ღრიანცელს რა ყური გაუძლებდა), ოღონდ ქუჩისთვის თავი ვერ გაიმეტეს, დერეფნებსა და ოთახებში ჩამოსხდნენ და ეკრანზე ადევნებდნენ თვალს დარბაზში მიმდინარე მოვლენებს. ეს კია, ისინი რომ დარბაზში ყოფილიყვნენ, კენჭისყრისას ვინ იცის, იქნებ რამდენიმე მათგანს ხელი წასცდენოდა და იმ ღილაკის ნაცვლად ამ ღილაკზე დაეჭირა თითი.

ისიც სათქმელია, რომ მარტოხელა აფთარმა მომგებიანად წარმართა პროცესი, ის მხოლოდ ერთხელ ავიდა ტრიბუნაზე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მოხსენების საპასუხოდ, რომლის მოსმენის შემდეგაც, წესითა და რიგით, ქუდი უნდა დაეხურა და პირდაპირ პარიზს გამგზავრებულიყო და წარმოთქვა საკმაოდ შხამიანი სიტყვა, ოპონენტებს კიდევ ერთხელ უწოდა პატარა კაცები და გულები დაუკოდა. მან პასუხი არ გასცა ტყვეებივით ჩარიგებულ შეკითხვებს, რომელთა შორისაც ყველაზე კალიბრიანი იყო მამუკა მდინარაძისა: თქვენ განაცხადეთ, რომ საქართველო შარშან არ იმსახურებდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს. შეგიძლიათ გვითხრათ, წელს მაინც თუ ვიმსახურებთ? ქალბატონმა სალომემ უარი თქვა ბოლო სიტყვაზეც, რაც უნდა ვივარაუდოთ, იმას ნიშნავდა, რომ არც შეკითხვებზე ჰქონდა პასუხები და არც სათქმელი, უკვე თქმულზე მეტი.

მან ჯერ კიდევ წინა დღეს განაცხადა, **საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთი ქვით მოკლეს ევროპული მომავალი და დემოკრატიაო. არსად არ მივდივარ, არ გადავდგები, არ გადმოვდგები, პარლამენტშიც მივალ და იმ პატარა კაცებთან რომ დავდგები, არავინ არ მჭირდება მხარდამჭერადო. მან დემონსტრაციულად ჩამოართვა რუსეთის, კაბო ვერდესა და მესოპოტამიის შტატიან ჯაშუშსა და ორი ოკეანის მეკობრეს ოთარ ფარცხალაძეს (აი, იმას სულ სევდიანი რომა აქვს ჯიღა, საცერა თვალები...) საქართველოს მოქალაქეობა, რასაც აქამდე ჯიუტად და აშკარად ეწინააღმდეგებოდა და „ქართულ ოცნებას“ კინაღამ ტვინში სისხლი ჩაუქცია. ვეტო დაადო კანონს მაუწყებლობის შესახებ, რომელიც სულაც ევროკავშირის მოთხოვნით ყოფილა შემუშავებული.**

ასეა თუ ისე, აკი გაუმართლა პრეზიდენტს, პარლამენტმა იმპიჩმენტის გამოცხადება ვერ შეძლო.

არადა, მთელი ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ „ქართული ოცნება“ წელებზე ფეხს დაიდგამდა საჭირო ხმების მოსაგროვებლად. მოქალაქე ალეკო ელისაშვილი კუშტი სახით აცხადებდა, ეჭვი არ მეპარება, „ქართული ოცნება“ ძალიან აქტიურად მუშაობს, რათა იმპიჩმენტისთვის საჭირო ხმები მოაგროვოსო.

როგორც იტყვიან, ფაქტი სახეზეა. ოცნებას არ უჩალიჩია, არ მოუხვეჭია, არ უყიდია ხმები. იქნებ იმის თქმაც იყოს საჭირო, რომ ამ შემთხვევაში არც ოპოზიცია გაყიდულა, თორემ აგერ ნათელმხილველი ელისაშვილი და აგერ, კენჭისყრის შედეგები: 86 მომხრე, ერთი წინააღმდეგი (ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: საჭირო იყო 100 ხმა).

ამრიგად პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით ფაქტობრივად სალომე სამადაშვილად იქცა (ირაკლი კობახიძის კალამბური), თავის თანამდებობაზე დარჩა და არ იქცა „კოჭლ იხვად“, რომელიც უფსკრულისკენ მიმავალ ნაციონალურ მოძრაობას არის აღევნებული (ისევ ირ. კობახიძის ენამახვილობა).

საქართველოს პარლამენტის 18 ოქტომბრის გადაწვეტილება ბომბივით გასკდა და ლამის გადაფარა უკრაინასა და ისრაელში მიმდინარე ომების ექო. ჩვენმა დაუღალავმა ევროპარლამენტარმა მეგობრებმა ანდრიუს კუბილიუსმა, რასა იუკნევიჩიენემ, ანა ფოტიგამ და მირიამ ლექსმანმა 18 ოქტომბერსვე გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება და საქართველოს მთავრობა კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულეს(?!), „მთავრობის გადაწყვეტილება, შეეზღუდა უცხოეთში ვიზიტები, არის ცხადი მცდელობა, ჩამოაშორონ პრეზიდენტი თავის კონსტიტუციით განსაზღვრულ მოვალეობას – წარმოადგინოს ქვეყანა და ქართველი ხალხის ნება...მთავრობა უნდა დაითხოვონ.“

ევროპარლამენტის დეპუტატი ვიოლა ფონ კრამონი მოთქვამს, ზურაბიშვილი ოლიგარქისა და მისი ჩინოვნიკების მიერ ისჯება საქართველოს ევროინტეგრაციისთვის გადადგმული ნაბიჯების გამოო.

ამრიგად, იმპიჩმენტი ჩაფლავდა, პრეზიდენტი პრეზიდენტად დარჩა, ოღონდ, აშკარაა, რომ ქალბატონ სალომეს და „ქართულ ოცნებას“ თანამშრომლობა გაუჭირდებათ, იმდენი მწლაკე და უკადრებელი აკადრეს ერთმანეთს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ერთსაც და მეორესაც შესწევთ ძალა საჭიროების დროს თეთრი კბილები უჩვენონ ერთმანეთს. ისიც აშკარაა, რომ ნაიმპიჩმენტარმა პრეზიდენტმა სავარძელი კი შეინარჩუნა, მაგრამ „ის თამრო“ აშკარად ვეღარ იქნება, უძლიერესი მორალური დარტყმის გამო.

ალეკო ასლანიშვილი

თანამედროვე ფოლკლორი

სალომე წაგ(მ)ებული

სალომე ზურაბიშვილი
კონსტიტუციის მტერია,
ქათამა გვარამიასთვის
მთხ(ყ)ლექალა და შტერია.
სააკიანმა უბოძა
„მიდ“-ის თავქალის პორტფელი,
ბიძინამ თავზე დაგვასვა
პრეზიდენტობის მგმობელი...
რომ ჰკითხო, ევროპელობას
ეთაყვანება ფესვებით,
საქმით კი პროვინციელმა
რუსეთს მიგვაბა ეშვებით...
საფრანგეთშია გაზრდილი
ლევილის შემარცხვენელი,
წინაპრებს საფლავს უბილწავს
მისი ყოველი „მდგენელი“.
უმადურობის სიმბოლო
მარგველასავით იქცევა,
წყალში ჩაყრილი ამაგით
მან განადიდა „მიცემა“.
იქნება აწი ისწავლოს
ჭკუა „ქართულმა ოცნებამ“,
მთავრობა-პარლამენტამა
მთხ(ყ)ლექალას უხსნან გონება.
სჯობს პრეზიდენტსა ნაზრახსა
გლეხკაცი სახელოვანი,
ნიკოლაძეთა სისხლს და ხორცს
გასტანჯავს წუთისოფელი.

ჯოჯო პირველი

ბიძინა დვალი:

„რეზიდენტის შეცდომა“

გუშინ მე და ჩემი კარგი მეზობელი, გატონი გოგი, ტელეეკრანთან მოკალათებულები, ერთად ვტკბებოდით **ცეილონის ჩაითა და ირაკლი კობახიძის მორიგი მასტერკლასით.** შესვენების პერიოდში, დროის მოკვლის მიზნით, ნაცეკრანზე „არამკითხე მოამბესავით“ (გამოთქმაა ასეთი) გამომხტარ **დავით თევზაძეზე „გაგულავებით“** შევიქციეთ თავი: გატონი გოგი დაუინებით მოითხოვდა „მედიარეგინა“, რომ ხსენებულ „გენერალს“ გენერლის მხოლოდ ულვაშები აქვს და რომ სინამდვილეში **ერთი „შეშა“ ვინმე იყო.** მე არანაკლები დაუინებით ვუმტკიცებდი, რომ გარკვეული იძულებიდან გამომდინარე, უგრალოდ, **თავს იგრიყვებს,** თორემ განათლება მაგას რომ აქვს, ისეთი უნდა-მეთქი. ამაზე ჩემმა ვიზავემ თვალები გადაატრიალა, „შენ ჩემზე დაუნდობელი ყოფილხარ, „გენერლების“ გრიგადიროვაზე რომ აქვს პრეტენზია, ის **კაცი რომ ვიღაცის ან რაღაცის იძულებით თავს იგრიყვებდეს, ამაზე მეტი სიმცირე და სიპატარავე რა უნდა იყოსო,** კაცი კი არა „პროგკა“ ყოფილაო.

ჩვენი კამათის მიზეზი შეიძლება ყველამ არ იცოდეს, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, საქმის არსი გაგაცნოთ. რაც არ უნდა იყოს, „გენერალზეა“ საუბარი:

„ტვ პირველის“ **აგრესიული უცოდინარობით გამორჩეული „ჟურნალისტკა“** ეკითხება გატონ დავითს – **„ოცნების“ თავმჯდომარემ პრეზიდენტს „კოჭლი იხვი“ უწოდა და თქვენ ამაზე რას ფიქრობთო?“**

იმ წუთამდე დინჯისა და სიტყვაძუნწის იმიჯის მქონე მინისტრყოფილმა (ჰოი, საოცრებავ), **„პასუხი არ დააყოვნა“** და... **„ნუ, უზრდელი ყოფილაო!“**

(ეს იქიდანაა, **„დათვური სამსახური“** და **„სირაქლემას პოზა“** ზოოლოგიაზე საუბარი, ხოლო **„ბეწვის ხიდზე სიარული“** ეკვილიბრისტიკის მაგვარი რამ რომ გგონია. ამავე კონტექსტში, გაუგებრობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, **ზემოთ ნახსენები „შეშა“,** ავტორის მიერ არა ცეცხლში შესაკეთებელი საგნის, არამედ **„რეგვენის“ მნიშვნელობით არის ნახმარი**).

კითხვის ავტორმა, რასაკვირველია, **„ყურადღება არ მიაქცია“,** რომ **ირაკლი კობახიძემ,** იცოდა რა, რომ გამოთქმის არსი ყველასთვის ცნობილი ვერ იქნებოდა, **იქვე განმარტა, „კოჭლი იხვი“ ცნობილი ამერიკული ტერმინიაო.**

(მეტი კონკრეტიკა მათთვის, ვისაც დაგუგლვა ეზარება – **„უზრდელი“ ამერიკელებისთვის** „კოჭლი იხვი“ **ლეგიტიმაცია გალეული, რეალურად უფუნქციოდ დარჩენილ პოლიტიკური თანამდებობის პირს ნიშნავს.** აღნიშნულიდან გამომდინარე, **„კოჭლ იხვად“ მოიხსენიებდნენ პრეზიდენტებს – ადამსს, ჯონსონს, ნიქსონს, კარტერს...** ამავე ტერმინით „ამკობდნენ“ პრემიერ **ტონი ბლერს,** ასევე **„ზრდილობასთან მჭყარალად მყოფი“ ბრიტანელებიც**).

მავანი იტყვის, შესაძლოა, გატონი დავითი იმათი რიგეგიდანაა, ვისაც აღნიშნული გამოთქმის შესახებ აქამდე არაფერი სმენოდაო. შესაძლოა ასეც იყო, მაგრამ ის ხომ უნდა იცოდე, რომ როცა ოფიციალური პირი ხარ, **პასუხებს „ნაპახივით“ არ უნდა ისროდე?** („ნაპახიც“ „რეგვენის“ სინონიმია). მით უმეტეს, თუ ეს პასუხი **ქვეყნის ერთ-ერთი პირველი პირის** შეურაცხყოფას შეიცავს. **ნითლიძეების, ნაცვლიშვილების, აქუგარდიების, სამნიძეების, სამადაშვილებისა და სხვა მოწიოკე ნაცქალების, ან სულაც ხუხაშვილის დონემდე ხომ არ უნდა დაეცე „ამხელა გიოგრაფიის“ კაცი?**

ადამიანს ასეთი გზა რომ აქვს გავლილი პოლიტიკაში და დღესაც პროცესების შუაგულში რომ ტრიალებს, სახელმწიფოებრივი აზროვნება, **თუკი ეს აკრძალული არ აქვს,** ავტომატურად უნდა ერთვებოდეს, უნდა ესმოდეს, რომ **იმ ადამიანების შეურაცხყოფა, ვისაც ქვეყნის შედი ამარია, სახელმწიფოს შეურაცხყოფაცაა** და **მათ მიმართ უდიერი დამოკიდებულება,** პირველ რიგში, **სახელმწიფოსთვის არის ზიანის მომტანი.** გარდა ამისა, სახელმწიფო სამსახურში მყოფ პერსონას, მით უმეტეს ყოფილ სამხედროს, ისიც კარგად უნდა მოეხსენებოდეს, თუ რას ნიშნავს **იერარქია, მოხელის პასუხისმგებლობა და სუბორდინაცია.**

მაგრამ... აქ პრობლემა სხვა რამეშია. გატონ დავითს, კრიტიკულ სიტუაციაში, მისი ფუნქციის მქონე კაცისთვის ესოდენ მნიშვნელოვანმა თავშეკავებამ უღალატა, ჩარჩოებიდან ამოხტა და უგრალოდ – **გაიშიფრა.** აშკარაა, რომ ის **ქართულ პოლიტიკურ რეალობაში გავლებული მკაფიო წითელი ხაზის იმ მხარესაა, სადაც „მისი“ პრეზიდენტია პორტირებული და სადაც წამყვან ძალას ნაცაგენტურა წარმოადგენს.**

„იქით მხარეს“ დგომა დავით თევზაძისთვის **შინაგანი მდგომარეობაა, თუ იძულებითი არჩევანი,** არავისთვის არის საინტერესო. მთავარია, რომ „ნაცია“. **„ნაცი“ კიდევ „ნაცია“, გინდა ულვაშიანი და გინდა უულვაშო** და აქ მხოლოდ ერთი დახასიათება მოქმედებს – **„ნაცობა“ სირცხვილია(!).**

ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო – იქა... და ა.შ.

19.10.2023 წ.

P.S. **რომ პირველი შემთხვევა იყოს, შეიძლება ასეთი სიმკაცრე არც გამომეჩინა, მაგრამ როცა ცნობილ აქციაზე „მისმა“ პრეზიდენტმა საპკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა ოჯახის წევრების მიმართ გაუგონარი, მართლა თავხედობამდე და უზრდელობამდე მისული უპატივცემულობა გამოხატა და ამის მხილველ, მის გვერდით თუთიის ჯარისკაცივით უძრავად მდგომ (მდგარ) „მრჩეველ“ თევზაძეს წარბიც არ შეტოკებია, გულმა რეჩხი პირველად მაშინ მიყო. ერთი პირობა გულუბრყვილოდ ვიფიქრე, როგორც კი შენობაში შევა, განცხადებას დაწერს-მეთქი წასვლაზე, მაგრამ... შენც არ მომიკვდე...**

დამეთანხმებით, ორი დიდი პოლიტიკური დატვირთვის მქონე შემთხვევის მიმართ (მეტჯერ მისი „დუხი“ არავის უნახავს), ორი იდენტური, პრონაცური დამოკიდებულების გამოხატვა უკვე კანონზომიერებაზე მიუთითებს.

P.P.S. **წერილის სათაური საბჭოთა პერიოდის ცნობილი ფილმიდან ვისესხე, იმის ხაზგასასმელად, რომ აგენტი აგენტია, „პარბი“ ქვეყნის ინტერესს ემსახურება თუ „ცუდის“.**

რაც შეეხება წერილის ადრესატს, ის ბანვრცობაზი სახეა. ვამბობ თევზაძეს და ვგულისხმობ ზურაბიშვილს და პოლიტიკური პროცესის ყველა იმ ფიგურანტს, ვინც თავის ქმედებებს „ბარეთ“ ამანხმებს.

ვაჟა ლორთქიფანიძე:

არასწორია, თითქოს ვიღაც ერთმა პიროვნებამ გაიყვანა ეს ბაზა



ეს უსაფუძვლო და უსამართლოა

რუსეთს გამოცხადებული ჰქონდა ჩვენ თვითონ გვეჩქარება და გავიყვანთ ბაზებს 2009 წლამდეო, შეიმუშავეს პროტოკოლი და ხელი მოაწერეს, რომ რუსეთი თავის ბაზას გაიყვანდა 2008 წლის გოლომდე. 2009 წლის დასაწყისი არის პირველი იანვარი და 2008 წლის გოლო არის 31 დეკემბერი. მე განსხვავებას ვერ ვხედავ და, ასე რომ, ამ პროტოკოლით ახალი არაფერი მომხდარა, – ასე უპასუხა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა **ვაჟა ლორთქიფანიძემ** სალომე ზურაბიშვილის მიერ გაჟღერებულ რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხს.

ვაჟა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხი ჯერ კიდევ 1999 წელს შეთანხმდა და იმის თქმა, რომ ეს ერთი პიროვნების დამსახურებით მოხდა, უსამართლობაა იმ პირების მიმართ, ვინც 10-წლიანი შრომა ჩადო ამ საქმეში.

„ერთი ბაზა იყო თბილისში, მეორე იყო გუდაუთაში, ერთი იყო აჭარაში და ერთი იყო ახალქალაქში, მეხუთე ბაზა იყო ჯარის მთელი სახეობა, აღჭურვილობითაც და რაოდენობითაც ოთხივეს აღემატებოდა. ჩვენ შევძელით, რომ ეს გავიყვანეთ და მთელი ჯარის სახეობა გავიდა 1997 წლამდე და მერე, 1999 წლის დასაწყისიდან. პრინციპში, უკვე ამერიკის შეერთებული შტატების ძალიან მნიშვნელოვანი და ძლიერი დახმარებით შევძელით ინფრასტრუქტურის შექმნა და უკვე საზღვარს ჩვენ თვითონ ვიცავთ. 1999 წელს სტამბულში შედგა ეუთოს ქვეყნების სამიტი, მძაფრად მიაწვნენ მაშინ, ძალიან მძაფრი საუბარი შედგა რუსეთთან, რომელსაც პრეზიდენტი ელცინი წარმოადგენდა, ამერიკის პრეზიდენტმა კლინტონმა, ასევე ძალიან დაუჭირა მხარი დემირელმა, თურქეთის პრეზიდენტმა, სხვა პრეზიდენტებმაც. განაწყენდა ელცინი, დატოვა სხდომა და იმ ღამეს დაუმშვიდობებლად გაფრინდა და მოიმიზეზა, რომ ვითომ ავად გახდა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ოფიციალურად ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას.

რუსეთი იღებდა ვალდებულებას, რომ ეს ოთხი დარჩენილი ბაზა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან 2009 წლამდე. ორი ბაზა გავიდა თითქმის წელიწად ნახევარში. მაშინდელმა ჩვენმა ხელისუფლებამ და სააკაშვილმა გაამწვავეს ამ ბაზების გაყვანის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მაშინ გამოცხადებული ჰქონდა ჩვენ თვითონ გვეჩქარება და გავიყვანთ ამ ბაზებს 2009 წლამდეო, შეიმუშავეს პროტოკოლი და ხელი მოაწერეს, რომ რუსეთი თავის ბაზას გაიყვანდა 2008 წლის გოლომდე. 2009 წლის დასაწყისი არის პირველი იანვარი და 2008 წლის გოლო არის 31 დეკემბერი. მე განსხვავებას ვერ ვხედავ და ასე რომ ამ პროტოკოლით ახალი არაფერი მომხდარა. დაკნინება არ არის, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს ჩვენი წინა 10-წლიანი და უფრო მეტი მუშაობა და მონდომება დავკარგოთ და ვთქვათ, რომ ვიღაცა ერთმა პიროვნებამ გაიყვანა ეს ბაზა. ეს, რა თქმა უნდა, უსაფუძვლო და უსამართლოა იმ ადამიანების მიმართ“, – განაცხადა ვაჟა ლორთქიფანიძემ

IMEDINEWS.GE

გიორგი მამაცაშვილი:

ამ წერილს არ ვწერ, როგორც ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე!

ეს არ არის საქართველო!..

ძვირფასო მკითხველო!

მთელი კვირაა, თვალყურს ვადევნებ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ვერაფერს ვერ ვწერდი.

მე კოვიდს ვებრძოდი და ეს ჩემი ცოდვით სავსეები – ქართულ სახელმწიფოს.

ახლა მოკლედ გეტყვით მთავარს.

ორბანის ვიზიტზე ვერაფერი დავწერე.

არადა, მართლაც მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო.

ერთ-ერთი ფეისბუქ-ავტორის კომენტარიც ვნახე, – ორბანი მაშინ იქნება კარგი, როცა მისსავე ქვეყანაში გახიზნულ ახალაიას და უდესიანს საქართველოს გადმოსცემსო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კომენტარი სრულებითაც არ აკნინებს სტუმრის ვიზიტს, რომელიც ჩემი თქმის გარეშეც მნიშვნელოვანიც იყო და სასარგებლოც, მაინც მგონია, რომ ეგ დღეც არაა შორს.

ჰო, „ჰიტლერისთვის“ კაგინეტი გაუხსნიათ და მე ვერაფერი დავწერე.

უფრო სწორად, საზოგადოებრივი მისაღები.

ნახმარი ფეხსაცმელებითურთ.

ერთი ეგაა – „ევა გრაუნის“ ფოტო არ კიდია კედელზე.

სავარაუდოდ, რამდენიმე „ევა გრაუნი“ ჰყავდა „ფიურერს“ და ვერ გადაწყვიტეს, უპირატესობა რომლისთვის მიენიჭებინათ.

ვკარნახობ: დოქტორი დოტის ფოტო ჩამოკიდეთ სრულყოფილებისთვის.

ნახმარის მნიშვნელობას აღარ განვავრცობ.

არადა, ფოტოებზე გოტასები ახალივით გამოიყურება.

და როგორც ჟურნალისტი გონდო მძინარაშვილი წერდა, – „ქაშმირის პალტო აკლია მემორიალურ მუზეუმს“...

არესტოვიჩის ფანები დუმან.

„ზელენსკი არაადეკვატურია და კორუმპირებულიაო“, – თქვა არესტოვიჩმა და ნაცებმა ვერ გაიგეს, ზელენსკი უფრო მეტი მიშისტია თუ ზელენსკის ყოფილი ხელისმიჭი და ვერდიქტს ელოდებიან.

ვერდიქტს, სავარაუდოდ, მანიაკი გასცემს საზოგადოებრივი მისაღებიდან.

ჰო, მისაღებზე გამახსენდა.

სააკაშვილისა და ბოკერიას ჩერგოლეიშვილმა ისეთი თქვა, გიგი უგულავას ადგილას ქვის სროლას მაინც დაიწყებდა კაცი.

„მიშას მისაღებში რომ დავსვათ და შეყვარებული ხალხის სახელით ემთხვიოს ხოლმე მიშას ბოტასებს? ეგებ დაორსულდეს“!..

ჰო, გიგი უგულავაზე თქვა.

შეიძლება, დიდი ვერაფერი ტექსტია, მაგრამ ისტორიისთვის აუცილებლად შესანახია.

ერთ დროს ყოფილი მეგობრებისა და თანაპარტიელების დეგრადაციის საოცარი ნიმუშია.

სალომე ზურაბიშვილმა – არ გადავდგებიო.

„ოცნებამ“ ახლა გადაწყვიტოს, ძველი სალომე ერჩივნათ თუ ახალიო.

არადა, ძველიც ასეთივე იყო.

დაუღვინებელი. უმარილო.

თუმცა, ფაქტია:

ირაკლი კობახიძემ და „პატარა მიჭებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოშიც მოუგეს და დიდი ანგარიშითაც მოუგეს მიუჯეტის ქურდის უგულავას და სააკაშვილის ნაპროკურორალი გვარამიას შემწყალებელს.

ნაცები ზეიმობენ – პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურა ჩავარდაო.

არადა, მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველოს ჰყავს კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი, რომელსაც თანამდებობაზე ყოფნის ვადა ერთ წელში ეწურება და ეს ვადაც ნაცების პრეზიდენტად დარჩენას უნდა შეალიოს, როგორც ვატყობთ.

მსოფლიომ გაიგო, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის აზრის გამომხატველია და როგორც „ბაში-აჩუკშია“ – „ახლა გინდ შეიტანეთ და გინდ გამოიტანეთ, ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი“.

ისე, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის და სხვა წამებულთა და წამებით გარდაცვლილთა ოჯახთა წევრებს რომ ეტყვი – აქ რას მომივარდითო, – მაშინაა შენი საქმე დამთავრებული, საქართველოს პრეზიდენტი რომ გქვია.

და არავითარი „მაშასადამე“!

გახარიას წითლიძემ, ვინმე ანა გუჩუკურმა გრძანა – გარდაცვლილებზე და კობახიძეზე ცუდის თქმა არ შეიძლებაო...

ამიტომ, მეც გავჩუმდები.

გახარიაზე და გახარიას „ანიწითლიძეზე“, ანუ ვინმე გუჩუკურზე არაფერს ვიტყვი.

ვინმე ნაცვლიშვილზე იმდენი დაიწერა დღესაც და გოლო დროსაც, ვერც მასზე და ვერც მის კორუმპირებულ და, როგორც ამბობენ, ქუთაისის ავტოქარხნის დამქცევ მამაზე ახალს ვერაფერს ვიტყვი.

ანა ნაცვლიშვილი პოლიტიკის მიღმაც პერსპექტიულია, თუკი აღდგება მოთქმით მოტირალი ქალების დაქირავების ტრადიცია.

რაც მთავარია, ზურაბგირჩის მოგვარე სოფო რამდენიმე ნაციონალთან ერთად ჭორვილაში ჩასულა. კვერცხების სროლით გამოაპანღურეს ჭორვილელებმაო.

ისევ გონდო მძინარაშვილს მოვიშველიებ.

„ანა ნაცვლიშვილი პოლიტიკის მიღმაც პერსპექტიულია, თუკი აღდგება მოთქმით მოტირალი ქალების დაქირავების ტრადიცია.“

საოცარი შეფასებაა.

ისე, ხალხის გამყვლეფი ხაზარაძის ვასალისგან სხვას რას ველით, საინტერესოა...

„ტვ პირველის“ „ზეპროფესიონალური“ გუნდი ანერვიულებულა, – კახი კალაძე დასასანქცირებელთა სიაშიაო და მიუხტნენ თგილისის მერს ტუტუცური გოდვებით.

კალაძემ დაამშვიდა, – მაგაზე მე არ ვნერვიულობ და თქვენ რა განაღვლებთო...

პროდიუსერმა ვერაფერი უკარნახა „ჟურნალისტს“ და სხვა კითხვები აღარ დაუსვამს.

არმაზ ახვლედიანს ახლა წაუკითხავს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და როგორც თავად განაცხადა პარლამენტის ტრიბუნიდან, – ატირებულა.

კრწანისის ომზე, დიდგორზე, თევდორე ბერზე და გიორგი სააკაძის შვილზე, პაატაზე არაფერი უთხრათ.

ცოდოა.

თქვენ კიდევ არ მკითხოთ, – არმაზ ახვლედიანი ვინააო?!...

რაც მთავარია, ზურაბ გირჩის მოგვარე სოფო რამდენიმე ნაციონალთან ერთად ჭორვილაში ჩასულა.

„ჭორვილა უნდა გავხადოთ ევროპული ქალაქი!“ – განუცხადებია და ვერ მოასწრო.

კვერცხების სროლით გამოაპანღურეს ჭორვილელებმა.

არადა, ჭორვილა ჯერ კიდევ მაშინ იყო ევროპული, და სხვათაშორის, გიძინა ივანიშვილის დამსახურებით, როცა ჯერ კიდევ ჟვანიასა და შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირში ვანო მერაბიშვილი, არმაზ ახვლედიანი, ზურაბ ადეიშვილი და სხვები სკამებს დაათრევდნენ ოთახიდან ოთახში.

ირაკლი ღარიბაშვილმა, უკვე მერამდენედ, კეზერაშვილის ნაძირლობა შეახსენა „პოლიტიკური მოძრაობა ფორმულას“ აქტივისტს, რომელსაც ჟურნალისტის მანტია ჰქონდა მოსხმული...

შუშის თვალები ესხა ვარლამ არავიძესაც „მონანიებაში“.

ახლა გრიგოლ ლილუაშვილს ვუსმინე. უფრო სწორად, მის კომპეტენტურ, პრაგმატულ, ლაკონიურ, პირდაპირ და ზომიერ პასუხებს.

თუმცა, სიმართლის თქმას ვერც უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი „გაექცა“ და თუ ჩავაკვირდებით მის დიალოგს ე.წ. ჟურნალისტთან „ტვ პირველიდან“, უმალ მიხვდებით ჩემს სათქმელს.

არადა, დღევანდელ რეალობაში, ამ მასშტაბის მსოფლიო გამოწვევების ფონზე, პირდაპირ ეთერში, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს ოთხ „კითხვაში““ იმას უმტკიცებდე, „ყურზე გაზის“ თუ არა პროდიუსერი, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიონალიზმია!

მართლაც, რა გენიალურად თქვა გალაკტიონმა თავის დროზე – ....„ეს არ არის საქართველო!“

და თუ პერიფერიაზს მოვიშველიებ, არც ესაა ჟურნალისტიკა!

თუმცა, ამაზე სხვა დროს.

დიახ, ლილუაშვილის მოსმენისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილის, ვახტანგ გომელაურის, ირაკლი კობახიძის, კახი კალაძის, გრიგოლ ლილუაშვილის, თეა წულუკიანის, რატი გრეგაძისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის შედეგია, რომ გუჩა და მარიუპოლი არ განმეორებულა ჩვენთან!

სტალინმა ბრძანა, მხარი დაეჭირათ არა მხოლოდ სიონისტებისთვის გაეროში, რომ შექმნილიყო ახალი ებრაული სახელმწიფო, არამედ მიეცათ მათთვის იარაღი, რომ შეწინააღმდეგებოდნენ მტრებს.

რა ბრძანება გასცა სტალინმა 1947 წლის ნოემბერში?!

სამწუხაროა, რომ პერმანენტულად მიმდინარე კონფლიქტი ისრაელ-პალესტინას შორის არ არის ლოკალური ხასიათის დაპირისპირება. ეს არის ლაბირინთი, რომელიც ისრუტავს არა მხოლოდ ურთიერთმოწინააღმდეგე ისრაელისა და პალესტინის, არამედ სხვა დიდი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებსაც.

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ბედი გასულ საუკუნეში, 1947 წლის 27 ნოემბერს, შაბათს გადაწყდა. ამ დღეს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ხმა მისცეს №181 რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა ბრიტანული მანდატის შეწყვეტას პალესტინაში და იქ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

სისხლიანი „პალესტინური თამაში“ გრძელდება

არაგული ქვეყნები პალესტინის გაყოფის წინააღმდეგნი იყვნენ, პალესტინელ ებრაელებს კი მიეცათ ერთადერთი შანსი – 2000 წლის შემდეგ, შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო.

დიდი იმპერიების შეხედულებები გაიყო. არაგებს მიემხრო ინგლისი, რომლის ძალაუფლება, მართვის მანდატის ფარგლებში, პალესტინაზე 1922 წლიდან ხორციელდებოდა ერთა ლიგის მიერ რატიფიცირებული დოკუმენტის შესაბამისად, აშშ მერყეობდა, არ სურდა ეწყენინებინა არც არაგებისთვის, არც – ებრაელებისათვის.

პალესტინის ბედი სსრკ-ზე იყო დამოკიდებული. მოსკოვის შეხედულებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სტალინი წარსდგა არა ერთი, არამედ ხუთი ხმით. სსრკ-ის მხრიდან ხმას აძლევდნენ: უკრაინა, ბელორუსია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და თვით მოსკოვი.

სტალინის გადაწყვეტილებამ, მხარი დაეჭირა სიონისტებისთვის, შეცვალა მდგომარეობა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დიდი გავლენა მოახდინა მაშინ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში და ეს საკითხი დღემდე რჩება საჯილდაო ქვად.

მაგრამ ვინ არიან თავად სიონისტები, რომელთაც ლეგენდების ბურუსი ფარავს?

სიონისტები არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ყველა ებრაელი უნდა დაბრუნდეს ისტორიულ სამშობლოში და არც კი ეცადონ ასიმილირდნენ იმ ქვეყნის მოსახლეობასთან, სადაც იძულებით დასახლება მოუწიათ.

მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია შეიქმნა პირველ სიონისტურ კონგრესზე ბაზელში 1897 წელს ერთი მიზნით, დაედოთ ერთი ქვა იმ სახლის მშენებლობისთვის, რომელიც გახდებოდა ებრაელი ხალხის თავშესაფარი.

კონგრესი თეოდორ ჰერცლის ინიციატივით შეიკრიბა.

ჰერცლი გახლდათ ავსტრიელი იურისტი, ჟურნალისტი და დრამატურგი, რომელსაც კონგრესამდე ერთი წლით ადრე დაწერილი ჰქონდა წიგნი სახელწოდებით **„ებრაული სახელმწიფო“.**

ჰერცლი, პროფესიის მიხედვით, ერთერთ ავსტრიულ გაზეთში მუშაობდა, როცა ის კორესპონდენტად გაგზავნეს საფრანგეთში. ჰერცლი პარიზში საფრანგეთის არმიის ოფიცერს ალფრედ დრეიფუსს შეხვდა, რომელიც ებრაელი იყო წარმოშობით. დრეიფუსი ცრუ ინფორმაციის საფუძველზე შპიონაჟში დაადანაშაულეს, რასაც მოჰყვა სერიოზული ანტისემიტური კამპანია. ამ ამბით შეშფოთებულმა ჰერცლმა მიიჩნია, რომ ყველა ებრაელი პალესტინაში უნდა დაბრუნებულიყო, ასე იქნებოდა ყველასთვის უკეთესი.

სიონისტების პირველი კონგრესის გარშემო მითები შეიქმნა. ამბობენ, რომ სწორედ ამ კონგრესზე გადაწყდა ებრაელების მიერ მთელი მსოფლიოს დაპატრონების გეგმა, რომელსაც სიონის ბრძენთა ოქმები ეწოდა შემდეგ...

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, ეთხოვათ თურქეთის სულთნისთვის, მხარი დაეჭირა ებრაელებისთვის პალესტინაში ავტონომიის შესაქმნელად, მაგრამ ამ წინადადებას წარმატება არ მოჰყოლია.

მაშინ სიონისტებმა დაიწყეს ძებნა გავლენიანი ევროპული სახელმწიფოსი, რომელიც ებრაელებს პალესტინაში დაბრუნებაში დაეხმარებოდა.

თეოდორ ჰერცლი გახლდათ ავსტრიელი იურისტი, ჟურნალისტი და დრამატურგი, რომელსაც პირველ სიონისტურ კონგრესამდე ერთი წლით ადრე დაწერილი ჰქონდა წიგნი სახელწოდებით „ებრაული სახელმწიფო“.

გერმანიის კაიზერთან მიმართვა წარუმატებელი აღმოჩნდა. არც რუსეთი დაინტერესდა მაინცდამაინც.

ყველაზე დიდი ყურადღება სიონისტების მიმართ დიდმა ბრიტანეთმა გამოხატა, მას თავის თავზე წარმოდგენა ჰქონდა, რომ უფლებამოსილი იყო მსოფლიოს ბედი გადაეწყვიტა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის არმიამ ლორდი ედმუნდ ალენბის ხელმძღვანელობით, პალესტინიდან განდევნა თურქები, რომლებსაც არა მხოლოდ პალესტინა, არამედ ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი ჰქონდათ დაპყრობილი. ალენბის არმიაში ებრაელი ჯარისკაცებიც იბრძოდნენ, როგორც მოხალისეები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ.

1917 წლის 22 ნოემბერს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს ბალფორმა მიმართვა გაუგზავნა ლორდ როტშილდს, რომელიც გახლდათ სიონისტების ფედერაციის პრეზიდენტი დიდ ბრიტანეთში. წერილში ნათქვამი იყო: მე მოხარული ვარ, გაგაფრთხილოთ მისი უდიდებულესობის სრული თანხმობით ებრაულ-სიონისტური მოძრაობის მიზნების მხარდაჭერის თაობაზე. მისი უდიდებულესობის მმართველობა მოწყალებით ეკიდება ებრაელი ხალხის ნაციონალურ მისწრაფებებს და ხელს შეუწყობს ამ მიზნის განხორციელებაში.

ფიქრობდნენ, რომ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პალესტინა დამოუკიდებლობას მიიღებდა, რადგან ასე მოხდა მთელ რიგ სახელმწიფოებში – ოტომანთა იმპერიის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა არაგული სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა ახლო აღმოსავლეთში – ერაყმა, სირიამ, ლიბანმა...

ოფიციალური ცნობებით, 1844 წელს იერუსალიმში ცხოვრობდა 7 000 ებრაელი, 3 000 ქრისტიანი და 5 000 მუსულმანი. XIX საუკუნის დასასრულს იერუსალიმში იყო 28 000 ებრაელი, 17 000 მუსულმანი და ქრისტიანი. მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის იერუსალიმში ცხოვრობდა 100 000 ებრაელი, 45 000 მუსულმანი და 25 000 ქრისტიანი.

მაგრამ გავიდა დრო და ინგლისის პოლიტიკა პალესტინაში შეიცვალა. მათ ფსონი არაგებზე დადეს.

30-იან წლებში სიონისტებმა იმედი საბჭოთა კავშირზე დაამყარეს. საბჭოთა რუსეთი პირველი სახელმწიფო იყო, სადაც ანტისემიტიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მეტიც, სპიდნენ კიდევაც ანტისემიტებს.სსრკ-ში ებრაელები ჰქმნიდნენ თეატრებს, გაზეთებს, ხსნიდნენ სკოლებს, სადაც ივრითზე ასწავლიდნენ. შეიქმნა ებრაული კოლმეურნეობები, ებრაული დასახლებები და რაიონები.

1928 წელს მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთში შექმნილიყო ებრაული რეგიონი შორეულ აღმოსავლეთში ბირობიჯანის სახელწოდებით. სხვადასხვა ქვეყნების ებრაული სათვისტომოები რიცხავდნენ თანხებს ბირობიჯანის განვითარებისთვის.

პუბლიცისტი ოტო გელერი წიგნში „იერუსალიმის დაცემა“ , რომელიც 30-იან წლებში გამოიცა, შეძრწუნებული წერდა: ებრაელები მიდიან ტაიგაში და თუ მათ შეეკითხებით პალესტინის შესახებ, ისინი გაიღიმებენ, რადგან პალესტინაზე ოცნება მაშინ დასრულდა, როცა პირველი ავტომანქანა გამოჩნდა ბირობიჯანში, გაიყვანეს რკინიგზა, ამოქმედდა თბომავლები და გიგანტური ქარხნების მილებიდან კვამლი ამოვიდა.

მაგრამ შორეული აღმოავლეთის ექსპერიმენტი ვერ განხორციელდა. ადგილი არ აღმოჩნდა შესაფერისი, ებრაელებს არაფერი აკავშირებდათ ამურის ნაპირებთან. აი, სხვა საქმე იყო პალესტინა, ის რამდენადმე ჰგავდა კიდევაც ბიბლიაში აღწერილ მიწას. ეს იყო უდაბნო, მოუსავლიანი მიწა განვითარებით ევროპისგან საკმაოდ ჩამორჩენილი, თუმცა ებრაელები კმაყოფილი იყვნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ თავიანთ საქმეს უნდა დაბრუნებოდნენ, ეს იყო მიწათმოქმედება. მათ შეისყიდეს მიტოვებული, უსარგებლო მიწები და უმძიმესი შრომით დააამუშავეს იგი. საბჭოთა კავშირის გამოცდილებით იქ შექმნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები – კიბუცები, რომელიც კოლექტიურ შრომას გულისხმობდა.

ახალგაზრდა ებრაელები პოლონეთიდან, რუსეთიდან, რუმინეთიდან ოფლით რწყავდნენ პალესტინურ მიწას. არასდროს არავის არ მოუპოვებია საცხოვრისი ისე ძვირად და ისეთი თავგანწირვით, როგორც ეს ებრაელებმა პალესტინაში გააკეთეს.

30-იანი წლების დასაწყისში ინგლისელებმა გადაწყვიტეს ხელი შეეშალათ ებრაელებისთვის პალესტინაში დამკვიდრებულიყვნენ. დაიწყო ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ. სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დევიდ ბენ-გურიონი ამბობდა: ბრიტანეთის ახალი ხელისუფლების მოქმედებები არის ჰიტლერის შურისმაძიებლური პოლიტიკის გაგრძელებაო.

იხ. 8 ბ.

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ბედი გასულ საუკუნეში, 1947 წლის 27 ნოემბერს, შაბათს გადაწყდა. ამ დღეს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ხმა მისცეს №181 რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა ბრიტანული მანდატის შეწყვეტას პალესტინაში და იქ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

�პᲔᲢᲠᲔ ᲑᲔᲠᲐᲘᲐ – „ᲖᲦᲕᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ“, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲙᲐᲘᲣᲛᲐ



ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ცხოვრებაში 77 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის აღმართ-დაღმართები, ნებსით თუ უნებლიეთ შექმნილი წინააღმდეგობების გადალახვის სირთულეები, ავიც, კარგიც, ილუზიებიც, რეალობაც, და რაც უმთავრესია, იმედიანი აღმაფრენაც. საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის იყვნენ და, ბუნებრივია, დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც წელთა სიმრავლეს არ ეპუებიან, თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ჩვეული ღირსებით აბედნიერებენ საზოგადოებას, კეთილნაყოფიერად ზემოქმედებენ გვერდში მდგომ ადამიანებზე და მათ ნდობას იმსახურებენ.

ასეთ გამორჩეულ ადამიანთა კოჰორტას განეკუთვნება პეტრე ბერაია.

მისი, როგორც მეცნიერის, ხელმძღვანელის, პოლიტიკოსის, მეზღვაურის ცხოვრება მრავალმხრივობით იპყრობს ყურადღებას. განსაკუთრებით ძლიერია მისი ცნობიერების საწყისი – კაცთმოყვარეობა! აქედან იღებს სათავეს დანარჩენი თვისება-ღირსებანი: ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, მაღალი შინაგანი კულტურა, ზნეობრივი პასუხისმგებლობა საზოგადოების, ქალაქის და ქვეყნის წინაშე.

ძნელია მოიძებნოს ეკონომისტთა შორის ისეთი მრავალმხრივი მოღვაწე, ინტელექტუალი, რომლის პიროვნებაში ასე ჰარმონიულად და თანაბრად იყოს შერწყმული თეორიული აზროვნებისა და სამეურნეო პრაქტიკის გარდაქმნისთვის მუდმივად მზადყოფნის უნარი. ასევე უნდა აღინიშნოს ბატონ პეტრეს დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები – საკუთარი რწმენისა და პრინციპების ერთგულება, ხალხის უანგარო სამსახური, სამართლიანობა და პრინციპულობა. ის პრობლემებთან ჭიდილში მუდამ გამარჯვებული გამოდის, რაშიც ძალიან ეხმარება შეუბღალავი ავტორიტეტი და ნებისმიერ ვითარებაში გაბედული ქმედების უნარი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პეტრე ბერაია, ქ. ფოთის და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქ. ლანგრაჟეს საპატიო მოქალაქეა. ის იყო ფოთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის საპატიო პრეზიდენტი, საზოგადოება „კუს ტბის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე.

პეტრე ბერაია დაიბადა ქ. ფოთში 1946 წლის 24 ოქტომბერს, დაამთავრა ოდესის საზღვაო-საინჟინრო ინსტიტუტი საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტისა და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობები, მისი მოღვაწეობის გზა ყველა პერიოდში უშუალო კავშირშია საზღვაო საქმესთან, რომელიც მან განვლო რიგითი მეზღვაურიდან, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსამდე და ქალაქის ხელმძღვანელობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავსადგურის მეზღვაურად, სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, საზღვაო სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად, ქ. ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე, შემდეგ პირველ მდივნად.

პეტრე ბერაიას ინიციატივით ფოთში ექსპლუატაციაში შევიდა საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, რომელიც დღესაც ნავსადგურის ყველაზე უფრო მდგრადი, ეკონომიკურად მომგებიანი მთავარი ტერმინალია.

ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში პირადად მისი თაოსნობით წარიმართა „კუნძულის“ სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქალაქში გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. კეთილმოეწყო ორი კილომეტრის სიგრძის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, საზღვაო სანაპირო, ასევე 9 აპრილისა და სხვა სანაპირო ხეივნები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქალაქს. პირველად გაშენდა 2 დახურული საცურაო აუზი, რომლებიც 1991 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, განადგურდა... მოეწყო განათება ქალაქის სტადიონზე, რაც ძალიან ახარებდა ფეხბურთის გულშემატკივრებს; საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე გაკეთდა 20-მდე სპორტული მოედანი, მოეწყო ახალი 12000-ნომრიანი საავტონენტო-საკომუნიკაციო ტერმინალი, რამაც აბონენტთა რაოდენობა ქალაქში 2000-დან 14000-მდე გაზარდა, შეიქმნა ახალი საჭადრაკო კლუბი „ნანა“, სამხატვრო-საგამოფენო დარბაზი, სრულიად ახალი სახე მიეცა მხარეთმცოდნეობის

მუზეუმს, კეთილმოეწყო საზღვაო ნავსადგურის სამგზავრო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია და ვაგზალი ქალაქის სავიზიტო ბარათი გახდა...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თვით საზღვაო ვაგზლის უიშვიათესი ნაგებობა. ეს იყო და დღესაც არის ლამაზი არქიტექტურული შენობა, რომლის ანალოგი შავი ზღვის ნავსადგურებში არ დგას! სამწუხაროდ, დღეს იქ სატვირთო-საკონტეინერო ტერმინალია და... ნადგურდება...

* * *

1995 ᲓᲐ 1999-2002 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, პეტრე ბერაია ქალაქის მოსახლეობის რჩეული იყო ორი მოწვევის საქართველოს პარლამენტში, როგორც ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი. ის გახლდათ საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატების საპარლამენტო ფრაქცია „იმედი“-ს თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, დიდ ბრიტანეთში საქართველოს მუდმივმოქმედი და საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრი.

პეტრე ბერაიას მოღვაწეობაში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობა. ამან არსებითად განსაზღვრა მისი მეცნიერულ ინტერესთა სფერო – საზღვაო ტრანსპორტი, საზღვარო ტრვირთბრუნვა, საზღვაო კანონმდებლობა და სხვ..

ის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემებია განხილული.

როგორც საქართველოს პარლამენტის საზღვაო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, მისი ხელმძღვანელობით მიიღეს „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, რომელიც ითვლება საზღვაო კონსტიტუციად. აგრეთვე, საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ“, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“, „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“. ფაქტობრივად, ქვეყანაში პირველად შეიქმნა საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც აისახა საზღვაო საერთაშორისო სამეცნიერო ეკონომიკურ-სამართლებრივი, სამეურნეო საქმიანობის ყველა სპეციფიკური საკითხი. დღეისთვის ბატონ პეტრეს, როგორც საზღვაო დარგის სპეციალისტს, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესად მიაჩნია საქართველოს სატრანსპორტო, შუა დერეფნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე კასპიის ზღვის ნავსადგურების ტექნიკურად გადაიარაღება, რათა სატრანსპორტო დერეფნებმა მთლიანობაში არა მხოლოდ 28 მლნ. არამედ 50 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი გაატარონ. ეს უდიდესი მიღწევა იქნება ყველა ქვეყნისთვის. დაკანონდა სახელმწიფო საზღვაო საზღვრები, პირველად დამოუკიდებელ საქართველოში გაჩნდა ცნებები – „ტერიტორიული წყლები“, „კონტინენტური შელფი“, ეკონომიკური ზონა.

* * *

1995 წელს მან ორგანიზება გაუკეთა ფოთის ნავსადგურიდან სამგზავრო, სატვირთო, საზღვაო ბორნით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გასვლას, სადაც პირველად ჩატარდა პარლამენტის ბიუროს გაფართოებული გამსლელი სხდომა, რომელმაც განიხილა ფოთის ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული პარლამენტიზმის ისტორიაში. შედეგად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ახალი მუხლი, და ქ. ფოთს დაუკანონდა სანავსადგურო მოსაკრებელი, რომლითაც ქალაქის ბიუჯეტი 1997 წლიდან მოყოლებული 2003 წლამდე დამატებით ღებულობდა ყოველწლიურად 2 მლნ ლარს, რაც ხმარდებოდა საზღვაო ქალაქის სოციალური პრობლემების მოგვარებას.

„ზღვის გუბერნატორი“, ასე უწოდებდნენ ბატონ პეტრეს კოლეგა პარლამენტარები და ის პრინციპში ხასიათითაც ზღვას ჰგავს, მას ბოლომდე ვერ გაუგებ, ხან წყნარი და მშვიდი გეჩვენება, მაგრამ როდის აბობოქრდება, კაცმა არ იცის - ვერც მისი „ტალღების“ რაოდენობას დაითვლი და ვერც „გაბრაზების ხარისხს“ ამოიცნობ. პეტრე ბერაია არ არის მარტივი ადამიანი, 2005 წელს პრესაში ატყდა ერთი ალიაქოთი, „ვაააა, ეს რა თქვა პეტრე ბერაიამო, ოპოზიცია ბობოქრობდა, სახელმწიფომ, ფოთის ხელმძღვანელობამ 380 ჰექტარი მიწა უსასყიდლოდ გადასცა საზღვაო ნავსადგურსო, იყო განსჯა, კამათი, გამოსვლები... პეტრე ბერაიამ ამებზარ ჟურნალისტებს განუცხადა: **„ნაკლებ აქტუალურად, მიმაჩნია საკითხის ასე დასმა – ვისი იქნება გამოყოფილი მიწები, ნავსადგურის თუ კერძო ინვესტორის... ნეტავ, ვინმე გამოჩნდებოდეს – ამ ტერიტორიას აითვისებდეს, ინფრასტრუქტურას განავითარებდეს, ამაზე დიდი მიღწევა ქალაქისთვის რა იქნება? მე პრობლემად უფრო აქაურობის გაპარტახებულ, სავალალო მდგომარეობაში ყოფნა მიმაჩნია. მე ის მაწუხებს, ეს ადგილი, როგორც დღესაა დაჭაობებული და გაუბედურებული, კვლავაც ასე არ დარჩეს“!**

სახელმწიფომ მაშინ ბატონ პეტრეს პროფესიონალიზმს უფრო დაუჯერა და არა იმათ, ვისაც არ ეზარებოდა და უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ მიწების გადაცემა დანაშაული იყო. მართლაც, ამ გაუბედურებულ და დაჭაობებულ ტერიტორიაზე (ნავსადგურის მიმდებარე ადგილი, ნაბადის უბანი) გაშენდა თანამედროვე ტიპის ლამაზი არქიტექტურული საბაჟო ტერმინალი, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჰიდროტექნიკური ნაგებობები“, მოეწყო გზები და თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რაც კიდეც უფრო ალამაზებს დღეს ქალაქს...

* * *

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲔᲠᲐᲘᲐ 2021 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო-საორგანიზაციო დეპარტამენტში, შავი ზღვის საერთაშორისო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზღვაო სანაპირო ზოლის, სანავსადგურო აკვატორიების საკითხების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელად, მისი უშუალო ავტორობით დაიწერა და გამოიცა ნაშრომი, „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ და დამოუკიდებლობის პერიოდში“, ხოლო მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა „საქართველოს შავი ზღვის დე ფაქტო სანაპირო პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები“.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, პეტრე ბერაია საზღვაო ტრანსპორტისა და ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

პეტრე ბერაია ღვინობისთვეში დაბადებული კაცია, დიდი გამოცდილებით და წარსულით. სიჭარმაგის წლები შემოპარვია ცხოვრებაში, რომელსაც საერთოდ ვერ გრძნობს – ისევ მხნე, რწმენით სავსე, შემართული და ზღვასავით ძლიერია...

ᲣᲤᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲙᲚᲔᲑᲝᲓᲔᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲔᲢᲠᲔ! ᲐᲛᲘᲜ!

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲐᲓᲔᲚᲘᲐ, ᲑᲔᲡᲘᲙ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲣᲜᲐᲕᲐ, ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐ, ᲒᲔᲚᲝᲓᲘ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲐ ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲖᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ, ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲜᲣᲧᲕᲐᲫᲔ.



მწუხარების ჟამი

საქართველო და მოლდოვა რუსეთისგან ტერიტორიების გათავისუფლებას უკრაინაში ომის დროს თუ დაიწყებდნენ, ერთად უფრო სწრაფად მოვაგვარებდით ტერიტორიების დაბრუნების საკითხს, მაგრამ ეს მათი მთავრობების გადაწყვეტილებაა

ალექსეი დანილოვი:

2008 და 2014 წლებში მსოფლიოს რომ ეპასუხა იმდროინდელი ჰიტლერ-პუტინისთვის, გაცილებით ნაკლები დანაკარგი გვექნებოდა!

მესამე მსოფლიო ომი დაიწყო 2008 წელს, როცა რუსეთის ფედერაცია თავს დაესხა საქართველოს და წაართვა ტერიტორიის ნაწილი, – ამის შესახებ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა, ალექსეი დანილოვმა განაცხადა.

„მესამე მსოფლიო ომი დაიწყო 2008 წელს, როცა რუსეთის ფედერაცია თავს დაესხა საქართველოს და წაართვა ტერიტორიის ნაწილი, შემდეგ იყო 2014 წლის თებერვალი. ეს ომი აქტიურ ფაზაში გადავიდა 2022 წლის 24 თებერვალს და რაც ახლა ხდება ისრაელის ტერიტორიაზე და სხვა ტერიტორიებზე ეს უკვე შედეგია. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის მოლო ომი, რომელსაც ჩვენ უახლოეს მომავალში ვნახავთ და ახლა მევრი რამ იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება, დაისვას წერტილი ამ საკითხში, რომ ღმერთმა ქნას, ის მთელ მსოფლიოში არ გავრცელდეს“, – განაცხადა დანილოვმა.

დანილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ახლა მსოფლიომ შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.

„ვფიქრობ, პასუხისმგებელ პოლიტიკოსებს, მათ შორის აშშ-ს ესმით, რომ ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს, რაც შეიძლება მალე, ერთხელ და სამუდამოდ“, – განაცხადა დანილოვმა.

მისივე თქმით, **„თუ საქართველო და მოლდოვა რუსეთის ფედერაციისგან თავიანთი ტერიტორიების გათავისუფლებას დაიწყებდნენ მაშინ, როცა უკრაინაში ომია, ერთად უფრო სწრაფად მოვაგვარებდით აგრესორის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხს“.**

„ჩემი პოზიცია ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში ვთქვი, როცა ჩვენს ქვეყანაში აგრესია დაიწყო, თუ საქართველო და მოლდოვა დაიწყებდნენ თავიანთი ტერიტორიების გათავისუფლებას რუსი ოკუპანტებისაგან, მაშინ ამ საკითხს ბევრად უფრო სწრაფად მოვაგვარებდით. მაგრამ ეს მათი მთავრობების გადაწყვეტილებაა, ეს არის ამ ქვეყნების გადაწყვეტილება. მათ სჯერათ, რომ ჩვენი დახმარებით, ანუ როდესაც ჩვენ დავამარცხებთ რუსებს, ისინი ძალიან სწრაფად გაათავისუფლებენ თავიანთ ტერიტორიებს“, – აღნიშნა დანილოვმა.

მისივე თქმით, ყარაბაღის ვითარებამ აჩვენა რუსების სრული უუნარობა, იყოს პარტნიორი, იყოს პასუხისმგებელი საკუთარ სიტყვებზე და ა.შ. რადგან ისინი სომხებს უამრავ გარანტიას აძლევდნენ.

„მე ვარ იმის მომხრე, რომ ყველა კონფლიქტი, რომელიც არსებობს მსოფლიოში, რაც შეიძლება მალე დასრულდეს. უფრო მეტიც, ისინი უნდა დასრულდეს სამართლიანად. რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას ასეთი დანაკარგებით. 2008 და 2014 წლებში მსოფლიოს რომ ეპასუხა იმდროინდელი ჰიტლერისთვის, სახელად პუტინისთვის, ვფიქრობ, გაცილებით ნაკლები დანაკარგი იქნებოდა, მაგრამ ეს ისტორიაა. ჩვენ თვითონ უნდა ვაკეთოთ საქმე. ჩვენ უნდა დავამარცხოთ მტერი“ – განაცხადა დანილოვმა.

უკომენტაროდ!

უკრაინის საბაჟო სამსახური – ჰუმანიტარული დახმარების 9 000 ტვირთიდან 3 000-ზე მეტი დაიკარგა!

3 000-ზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი უკრაინელ სამხედროებამდე არ მისულა, – ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახური ავრცელებს.

„დასტურდება, რომ გასული ცხრა თვის განმავლობაში უკრაინელი სამხედროებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების გადაადგილების 9 000 ფაქტიდან, 3 000-ზე მეტ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ტვირთს სამხედრო ქვედანაყოფებამდე მიეღწიოს“, – წერია საბაჟო სამსახურის განცხადებაში.

ამ დროისთვის მებაჟეებმა სამართალდამცავ უწყებებს 387 შეტყობინება გაუგზავნეს დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტებზე. ასევე, საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე შედგენილია 320 ოქმი, სადაც დარღვევის ობიექტს წარმოადგენდა ჰუმანიტარული დახმარების საქონელი. საბაჟო სამსახურში აცხადებენ, რომ ჰუმანიტარული დახმარების ნიღბით კომერციული საქონლის იმპორტი არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და ისჯება კანონით.

პალესტინელების მხარდამჭერი აქცია ლონდონში

აქციის თანაორგანიზატორები, პალესტინელების სოლიდარობის კამპანია ღაზის სექტორში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვს, რათა რეგიონში ჰუმანიტარული დახმარება სრულად შევიდეს.

ლონდონის ქუჩებში გამოსულ დემონსტრანტებს პალესტინის დროშები ეკავათ ხელში. ბოლო 24 საათის განმავლობაში პალესტინელების მხარდამჭერი აქციები გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ტაილანდში, ავსტრალიაში, ნიდერლანდებში.

ჩვენს მიწას არ დავტოვებთ!..

ჩვენს მიწას არ დავტოვებთ! – ამის შესახებ პალესტინის პრეზიდენტმა, მაჰმუდ აბასმა ეგვიპტეში მიმდინარე სამიტზე განაცხადა.

„ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით გადაადგილებას, ჩვენ დავრჩებით ჩვენს მიწაზე, როგორიც არ უნდა იყოს გამოწვევები“, – აღნიშნა მან და მოუწოდა ისრაელს, შეწყვიტოს „ბარბაროსული აგრესია“ ღაზაში.

ამასთან, პალესტინის პრეზიდენტმა მოითხოვა საერთაშორისო სამშვიდობო სამიტის ჩატარება ისრაელისა და „ჰამასის“ ომის დასასრულებლად.

„მკაცრად ვგმობ ორივე მხარის მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობას. მოვითხოვ მშვიდობიანი მოქალაქეებისა და ტყვეების გათავისუფლებას“, – განაცხადა მაჰმუდ აბასმა.

ღაზა იქცევა სრულ ჯოჯოხეთად, სასაფლაოდ ისრაელისთვის...

ტერორისტული ორგანიზაციის „ჰამასის“ სპიკერი ღაზი ჰამადი მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ პირობებს აყენებს. მისი თქმით, ღაზას სექტორში აგრესია უნდა შეწყდეს და დახმარება უნდა შევიდეს.

„ჩვენ მზად ვართ პოზიტიურად გადავჭრათ მძევლებისა და პატიმრების პრობლემა. ჩვენ მზად ვართ გავათავისუფლოთ ისინი, მაგრამ ამისთვის ხელსაყრელი პირობები უნდა არსებობდეს. ღაზას სექტორში აგრესია უნდა შეწყდეს და დახმარება უნდა შემოვიდეს ღაზაში. ჩვენ მჭიდრო კონტაქტები გვაქვს ყატართან მათ დიდი როლი ითამაშეს წინა დღით ორი მძევლის გათავისუფლებაში.

(სახმელეთო ოპერაციის შემთხვევაში) ღაზა იქცევა სრულ ჯოჯოხეთად, სასაფლაოდ ისრაელისთვის. არ ვიცი, რა ბედი ეწევა მძევლებს, რადგან სიტუაცია უფრო გართულდება. მე არ შემიძლია ამ ადამიანების უსაფრთხოების გარანტიაზე საუბარი“, – აცხადებს ღაზი ჰამადი.

სისხლიანი „პალესტინური თამაში“ გრძელდება

(მეექვსე გვერდიდან)

1946 წლის ივნისში იატაკქვეშა ებრაული მოძრაობის მიერ განხორციელებული ტერაქტით ერთდროულად 9 ხიდი აფეთქდა.

დიდი ბრიტანეთის ჯარების მარშალი მონტგომერი პალესტინაში გაემგზავრა მეექვსე დივიზიის თანხლებით, რომელიც თავისი სასასტიკით იყო ცნობილი. ინგლისელებმა პალესტინაში კომენდანტის საათი გამოაცხადეს. მასობრივი რეიდები მიმდინარეობდა, იჭერდნენ ეჭვმიტანილებს, აწამებდნენ და აიძულებდნენ ეთქვათ, სად იყო იატაკქვეშა ორგანიზაციები. ებრაელთა ნაციონალური სამხედრო ორგანიზაციაც არ იყო გულხელდაკრეფილი – ისინი თავს ესხმოდნენ ბრიტანელ ჯარისკაცებს, ოფიცრებს, კლავდნენ, იტაცებდნენ იარაღს და ა.შ.

დიდი წინააღმდეგობების შემდეგ, 1947 წლის 2 აპრილს ლონდონმა განაცხადა, რომ უარს ამბობდა პალესტინის მანდატზე და მის ბედს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაულოცავდა.

როცა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უარი თქვეს დახმარებოდნენ ებრაელებს, შეექმნათ თავიანთი სახელმწიფო, ინტერესი მოულოდნელად სტალინს გაუჩნდა.

გრომიკომ, რომელიც მაშინ გაეროში მუდმივ წარმომადგენლად იყო წარგზავნილი, სხდომაზე განაცხადა, რომ ებრაელებს ჰქონდათ უფლება, თავიანთი სახელმწიფო ჰქონოდათ პალესტინაში.

ასობით ათასი ებრაელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დახეტიალობდა თავშესაფრისთვის, ომისგან 6 მილიონი ებრაელი იყო განადგურებული. მათი დიდი ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებოდა, თუმცა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ გამოუჩენია ინტერესი, არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ გასჩენია ინიციატივა დაეცვა ებრაელი ერი და მათი ელემენტარული უფლებები მთელ მსოფლიოში.

1946 წლის 20 ივნისს ებრაული სააგენტოს ერთ-ერთმა პალესტინელმა ხელმძღვანელმა ელიაჰუ სასუნმა იერუსალიმიდან წერილი გაუგზავნა ვაშინგტონს – ჩვენს კავშირს არ შეუძლია შეეგუოს იმას, რომ დიდ ბრიტანეთს სურს გადაწყვიტოს პრობლემა რეგიონში და არ ჩართოს ამ კონფლიქტში რუსეთიო.

სიონისტებმა უკვე იგრძნეს პირველი სიმპათია საბჭოთა ხელისუფლებისგან. ომის შემდეგ პოლონეთის დროებითმა მთავრობამ ხელი მოაწერა საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმებას, რომ მათ უფლება ჰქონდათ, პოლონელი ებრაელების ევაკუაციისა პოლონეთში. ებრაელები, რომლებიც ქვეყნის გაყოფის შემდეგ საზღვრის სხვა მხარეს აღმოჩნდნენ, ახლა შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ სახლში.

1947 წლის ნოემბერი იდგა. სტალინი შვებულებაში იმყოფებოდა. ომის შემდეგ ყოველ წელს იგი სამი-ოთხი თვით ქვეყნის სამხრეთში ისვენებდა. მოსკოვში სტალინი 21 დეკემბერს დაბრუნდა, თავის დაბადების დღეზე. თუმცა ის შვებულების დროსაც არ ყოფილა უქმად, არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა პოლიტბიუროს მისგან დამოუკიდებლად არ შეეძლო...

მოსკოვში პალესტინას უყურებდნენ, როგორც ბრძოლის ველს აშშ-სა და ინგლისს შორის. სტალინის მოულოდნელმა ჩარევამ საბჭოთა კავშირი გადააქცია მთავარ ფიგურად ე.წ. „პალესტინის თამაშში“.

სტალინმა ბრძანა, მხარი დაეჭირათ არა მხოლოდ სიონისტებისთვის გაეროში, რომ შექმნილიყო ახალი ებრაული სახელმწიფო, არამედ მიეცათ მათთვის იარაღი, რომ შეწინააღმდეგებოდნენ მტრებს.

* * *

ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო; რაც ახლა ხდება ახლო აღმოსავლეთში, თითქოს იმის გაგრძელებაა, რაც უკვე მოხდა გასული საუკუნის 40-იან წლებში. დიდი სახელმწიფოების ინტერესები ისევ ეჯახება ერთმანეთს, ისევ ტერიტორიებისთვის, გავლენებისთვის, რელიგიური ფონის მოშველიებით. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ყველაფერ ამას უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

ინტერნეტმასალებზე
დაყრდნობით მოამზადა
მარიამ ვადაჭკორიამ



მუსიკით არსებობა

ანდაზით დავიწყებ.

სიბერძნე ხომ არ ძველდება.

ბანალურიც არასოდეს ხდება.

ჰოდა, ასე დავიწყებ:

„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ.“

მისი მეგობარი ანზორ ერქომაიშვილი იყო.

ტელეფონით, ასე ესალმებოდა:

„გაუმარჯოს ჩემს გურულ ძმას!“

უნდა გენახათ ამ დროს ანზორ ერქომაიშვილის ისედაც ნათელი სახე, მისეული ღიმილით ორმაგად განათებული.

მე მინახავს...

* * *

რევაზ ტაკიძე ნამდვილად იმსახურებდა ასეთ სიყვარულს.

ისინი მევრი რამით ჰგვანდნენ ერთმანეთს.

უპირველესად, – სამაგალითო პატიოსნებით.

მათ მეგობრობას კი გულწრფელი ურთიერთპატივისცემა განამტკიცებდა.

ბატონი რეზო, რა თქმა უნდა, აღტაცებული იყო ანზორ ერქომაიშვილის თავდადებული მოღვაწეობით, ბატონ ანზორს კი რევაზ ტაკიძის პროფესიონალიზმი აღაფრთოვანებდა.

მახსოვს, რა აღტაცებულმა მითხრა: „წარმოგიდგენია, „ქეთო და კოტეს“ ზეპირად უდირიჟორა, პარტიტურაში არც ჩაუხედავს!“

„დაისსაც“ ზეპირად უდირიჟორა, მაგრამ ბატონი ანზორი ამას ვეღარ მოესწრო.

თუ ვინმემ ნამდვილ ტრაგედიად აღიქვა მისი გარდაცვალება, მათ შორის ერთ-ერთი პირველი რევაზ ტაკიძე იყო. დაწერა კიდეც: „ჩემ გარდა, არავინ იცის, როგორ მაკლია მასთან ურთიერთობა, მისი პიროვნება. ძალიან მიჭირს ანზორის გარეშე“...

ცნობილია, რომ ბატონი რეზო ეპიგრამების შეთხზვითაა გატაცებული.

ანზორ ერქომაიშვილს ძალიან ახალისებდა მისი პოეტური ხუმრობანი. ჩვენ რომ მოღვაწედ მოხსენიებას გვიკრძალავდა, რევაზ ტაკიძის ამ სტრიქონებს სულაც არ აპროტესტებდა:

„ყველამ ვიცით, რომ სჭირდება ერს ქომაგი შვილი,

ასეთია სწორედ ანზორ ერქომაიშვილი.“

ლოგიკურია: იუმორის ტრფიალი იუმორს ვერ გააპროტესტებდა.

* * *

ბატონ რეზოს ახლახან 80 წელი შეუსრულდა.

„დაისის“ პრემიერაც და „ზეპირად დირიჟორობაც“ ამ საიუბილეო თარიღს დაემთხვა.

დიდი სიყვარული გამოუხატა სახელოვან მუსიკოსს თეატრმა, რომლის ჭერქვეშ ორმოცდარვა წელი გაატარა.

მისი ღვაწლის დაფასება არც კულტურის სამინისტროს გამორჩენია.

დიდი მედნიერებაა, როცა სადირიჟორო პულთტან ბატონი რეზო ტაკიძე დგასო, – განაცხადა პრემიერის შემდეგ მინისტრმა, თეა წულუკიანმა.

იუბილარს კულტურის სამინისტროს საინტერესო პროექტიც მიეძღვნა: „ერთი მუსიკოსის ამბავი“ – ფაქტობრივად, დოკუმენტური ფილმი, პიროვნების მეტად საინტერესო შტრიხებით.

* * *

რაში გეხმარებათ მუსიკა? – ეკითხებიან.

პასუხი მოკლე და მრავლისმთქმელია, სულაც ერთსიტყვიანი:

არსებობაში.

მცირე პაუზის შემდეგ კი ასე განავრცობს:

„არ არის დღე, მუსიკით რომ არ ვცხოვრობდე, არ ვფიქრობდე ბეთჰოვენზე თუ ფალიაშვილზე, მოცარტზე თუ დოლიძეზე... არ ვგეგმავდე, რა გავაკეთო ამა თუ იმ ფრაზასთან დაკავშირებით“...

მუსიკა, თავისთავად, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მისთვის დღე უგალაკტიონოდაც არ არსებობს.

ამიტომაც მყისვე შენიშნა ჩემი ამაწინანდელი შეცდომა: საგაზეთო სტატიაში, გალაკტიონის სტრიქონი („წადი წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია“) შექსპირს რომ მივაწერე.

პოეზიის იშვიათი მცნობი და დამფასებელი, როგორც ზემოთ ვთქვით, ეპიგრამებს წერს.

ბოლო დროს მაჯამებით ვარ გატაცებულიო და ერთ-ერთ ნიმუშს ხსენებულ ვიდეოშიც კითხულობს:

„ცხოვრების ჭაპანს თითქმის ვეწევი,
ჯანმრთელ ცხოვრებას თითქოს ვეწევი,
აღარ ვსვამ, აღარც თუთუნს ვეწევი,
დრო ისე გარბის, ვეღარ ვეწევი“...

ხუმრობს, თორემ როგორ არ ეწევა?!

თუთუნს – არა, დროს:

ოთხმოცი წლისა კვლავ სადირიჟორო პულტთან დგას.

და ზეპირად დირიჟორობს...

იოსებ ჯუმბურიძე

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სამეიე სოჰეილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034 (საკადასტრო კოდი: 72.06.01.004.034 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 201896.88 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 23 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 6 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93557423;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 935574

6. **მოვალე:** სამეიე სოჰეილ (პ/ნ 39867840), მცხეთა, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 004, ნაკვეთი 034;

შპს „მერქანი“ (ს/ნ 425366043), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
შპს „ლ&გ“ (ს/ნ 404383092), თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ე. ახვლედიანის ქ. №10;
მარიამ გელხაური (პ/ნ 01001025281), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, კორპუსი 6, ბინა №21;
მანუჩარ ცხელიშვილი (პ/ნ 21001012578), თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. №118/42;
სამად იარი (პ/ნ 01391047051), თბილისი, ფანჯიკიძის ქ. №22, ბლოკი „ა“, ბინა №59.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93557423; ლოტის ნომერი: 935574).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 6 ნოემბრის 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს სილევან ჩანქსელიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** სილევან ჩანქსელიანი (პ/ნ 53001032435), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7 (საკადასტრო კოდი: 29.15.32.352 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14062.64 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 23 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 6 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP93557523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 935575

6. **მოვალე:** სილევან ჩანქსელიანი (პ/ნ 53001032435), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7;
ეკა ჩანქსელიანი (პ/ნ 49001002308), წყალტუბო, ს. საყულია, 30-ე ქუჩა №7.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP93557523; ლოტის ნომერი: 935575).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 6 ნოემბრის 12:00 საათამდე.

დუბლიანი კვარაშაბათი

როგორც გახსოვთ, **ხვიჩა კვარაცხელიამ** იტალიური კარიერა შარშან რომეოსა და ჯულიეტას ქალაქში თავით გატანილი გოლით დაიწყო. ეტყობა, სიმბოლურიცაა, რომ სიყვარულით ახლადშექმნილი ოჯახის თავკაცმა წლევანდელი სეზონის პირველი, კარიერაში კი მეორე დუბლი სწორედ ვერონაში შეასრულა.

ეს სერია – ა-ს მე-9 ტურში მოხდა, როცა ოსიმენის ტრავმის გამო ულიდეროდ დარჩენილ ნაპოლიში პირველი ვიოლინოს მისია ჩვენმა თანამემამულემ იტვირთა, თანაც გასვლით შეხვედრაში – 3:1. სხვათა შორის, ნიგერიელი ბომბარდირი პარტნიორებს ტრიუმფალური შარშანდელი სეზონის სტარტზეც აკლდა, მაგრამ გუნდმა ისე ითამაშა, რომ ტურნირს ინტრიგა ფინიშამდე კარგახნით ადრე მოუკლა, მაგრამ მაშინ მომავალ ჩემპიონს ლუჩანო სპალეტი წვრთნიდა. ვინატროთ, რომ აფრიკელის დროებითმა არყოფნამ ორ ფრონტზე მებრძოლ კამპანიელებზე ამჯერადაც სასიკეთოდ იმოქმედოს, ოღონდ ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხებს ამას რუდი გარსია.

მატჩის შემდეგ

ხვიჩა კვარაცხელიამ „ვერონასთან“ შესანიშნავი თამაში ჩაატარა და „ნაპოლის“ გასვლითი მატჩის მოგებაში (3:1) დუბლით დაეხმარა. პირველი გოლის შემდეგ ქართველის მიერ ნაჩვენებმა უესტმა მასპინძლები გააღიზიანა, რაც გაურკვევლობის და მცირე კონფლიქტის მიზეზიც გახდა.

საქმე ისაა, რომ კვარაცხელიამ „ვერონას“ კარში გატანილი ბურთის შემდეგ ტრიბუნებისკენ ე.წ. არათითი ასწია, რომელზეც საქორწინო ბეჭედს იკეთებენ და ამით გოლი ნიცა თავაძეს მიუღძვნა, ვისთანაც სანაკრებო პაუზის დროს ჯვარი დაიწერა.

ეს „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა კარგად გაიგეს, მაგრამ „ვერონას“ მოთამაშეები და გულშემატკივრები გაღიზიანდნენ და ხვიჩას საქციელი შეურაცხყოფად მიიღეს. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და ვნებათაღელვაც ჩაცხრა.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ რვა მატჩში უკვე სამი ბურთი გაიტანა და სამი შედეგიანი გადაცემა შეასრულა. სულ კი ბოლო ორ კვირაში, სანაკრებო მატჩების ჩათვლით, ზედიზედ სამ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა.

ხვიჩა კვარაცხელიას მიერ გოლის აღნიშვნის ახალ სტილს იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უფრო მეტიც, „ვერონას“ ფეხბურთელებმა თავიდან ეს უესტი არასწორად გაიგეს და ფეხბურთელებს შორის კამათიც მოხდა.

ტელეკომპანია DAZN-ი იტყობინება, რომ კვარას ეს უესტი MMA-ს ცნობილ მებრძოლ ისრაელ ადესანიას უკავშირდება, რომელიც გამარჯვებას ასე აღნიშნავს.

„სწორედ აქედან მოდის კვარას ახალი აღნიშვნა. საქართველოში MMA ძალიან პოპულარული სპორტია, რომელიც კვარაცხელიასაც მოსწონს. თქვენი აზრით, კვარა დღეს საღამოს UFC294-ს უყურებს?“, – წერს DAZN-ი.

„ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა რუდი გარსიამ „ვერონასთან“ მატჩის შემდეგ ხვიჩა კვარაცხელიაზე ისაუბრა. როგორც მან თქვა, ქართველი ახლა თავისუფლად თამაშობს, რითაც განსხვავებას ქმნის და ის გადამწყვეტია.

„ბოლოს და ბოლოს, ჩემს ხელში საუკეთესო კვარაა? ის უკვე დაბრუნდა „უდინეზესთან“ მატჩში. ახლა თავისუფლად უტევს და როცა ასეა, მეტოქის დაცვას ამძიმებს, რითაც განსხვავებას ქმნის. დღეს გადამწყვეტი იყო და ძალიან მიხარია მის გამო. გოლის აღნიშვნა? არ ვარ წინააღმდეგი, სანამ ეს ისრები მე არ მხვდება (იღიმის – რედ). არ ვიცი, ვკითხავ მიზეზს, თუ რატომ აღნიშნავს ასე.

ხარისხი ვაჩვენეთ და ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით. ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, მაგრამ ვცდილობთ, ყველა თამაში მოვიგოთ და დღეს მოვახერხეთ საკუთარი თავის გამოხატვა. გუნდმა კარგად ითამაშა, მეტი გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ რომ არა მერეტი, შეიძლებოდა მეტიც გაგვეშვა, ამიტომ, მინდა ალექსი შევაქო. დანარჩენი, კმაყოფილი ვარ იმ ინტენსივობით, რაც მიჭებმა აჩვენეს. ახლა ბერლინში უნიონთან ჩემპიონთა ლიგის ხვალინდელი მატჩისთვის მოვემზადებით და ვეცდებით ენერგიის აღდგენას“, – თქვა გარსიამ.

ხვიჩა კვარაცხელიამ სერია A-ს მეცხრე ტურში „ვერონას“ წინააღმდეგ დუბლი შეასრულა და შესანიშნავი თამაში ჩაატარა. იტალიურმა მედიამ, ცხადია, ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია და მისი გარჯა ასე შეფასდა:

Eurosport 8 ქულა: „ნამდვილი კვარა დაბრუნდა, რომელიც უმიზნებს მეტოქეს, როგორც კი ეს შეუძლია და რომელიც, პირველ რიგში, მომაკვდინებელია, როცა კარში დარტყმა შეუძლია. სეზონის პირველი დუბლი და გოლების გარდა, ბევრი კარგი რაღაც“.

Tuttomercatoweb 7.5 ქულა: „მეორე გოლის შემდეგ ისრები გაისროლა „ნაპოლის“ ფანებისკენ, რომლებსაც უკვე დიდი ხანია ის უყვარდათ, მაგრამ კიდევ ერთხელ აიძულებს მათ შეიყვარონ ეს გუნდი, რომელსაც ბოლო დროს ბევრი კრიტიკა შეხვდა. დრიბლინგი მისი საფირმო ნიშანია, რომელიც ხალხში აღტაცებას იწვევს. თუ მას სივრცეს დაუტოვებ, მიუწვდომელი ხდება“.

Calcionapoli24 7.5 ქულა: „დაბრუნდა მინდორზე, სადაც პირველად წარმოაჩინა თავისი ნიჭი იტალიაში. უამრავი ჯარიმა გამოიმუშავა, მეტოქე გააყვითლა, ანგარიში ორამდე ცივსისხლიანი მოქმედებით გაზარდა. მეორე ტაიმის დასაწყისში დამამშვიდებელი გოლი გაიტანა. ყველაფერი გააკეთა და ასეთი ნიჭი გვიყვარს“.

Tuttonapoli 8 ქულა: „შეტევაში ყველგანაა, სარგებლობს რასპადორის მობილურობით და ქაოსს იწვევს. როგორც „მონცასთან“, ახლაც პირველი გოლი იგივე სტილში გაიტანა, მარჯვენა ფეხით მეტოქე მოატყუა და მარცხენათი გაიტანა. დუბლი ცივსისხლიანი დარტყმით გაიფორმა“.

Calciomercato.com 8 ქულა: „გუნდს თავისი მხრებით უზარმაზარი ხარისხით ატარებს. მან გადარია ვერონელთა დაცვის ხაზი და პირველი გოლი „კვარას“ სტილში გაიტანა. შემდეგ დუბლი გაიფორმა, როდესაც თავისუფალ სივრცეში გაფრინდა“.

Calciomercato.it 8.5 ქულა: „როცა ასე თამაშობს, აბსოლუტური სიამოვნება ხდება. ატყუებს, პასს აკეთებს, ურტყამს, გოლს იტანს და უამრავ სასიამოვნო რაღაცას აკეთებს“.

Calcionapoli1926 8 ქულა: “დუბლი და შესანიშნავი თამაში. მისი მატჩი სპექტაკლი იყო. შემოთავაზებული დონე შარშანდელია და ასეთი კვარას წინააღმდეგ მეტოქეებს მხოლოდ მტვრის ჭამა შეუძლიათ“.

Mediaset 7.5 ქულა: „ნელი ტემპით იწყებს, მაგრამ შემდეგ ორივე ფეხით შედის მოედნის გადამწყვეტ ზონაში. გაიტანა თამაშის მეორე გოლი და რასპადორისთან ტაშის ღირსი კომბინაციების სერიას იწყებს. შემდეგ მიფრინავს კონტრშეტევაზე და მესამე გოლი გაიტანა“.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში კვარაცხელიას სერია A-ში 8 მატჩში 3 გოლი, 3 საგოლე პასი და 2 მოპოვებული პენალტი აქვს აქტივში (ყველა ტურნირზე 10 მატჩში). „ნაპოლიმ“ ამ გამარჯვებით 17 ქულა დააგროვა და ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 29 ოქტომბერს, „მილანს“ უმასპინძლებს, თუმცა მანამდე ჩემპიონთა ლიგაზე ბერლინში „უნიონს“ ესტუმრება.

◎ ოკეანის გაღმა

სეზონის წინ – 8 ქულა

NBA-ს სეზონის მოსამზადებელი ეტაპი „სან ანტონიო სფურზმა“ „გოლდენ სტეიტთან“ საგარეო გამარჯვებით დაასრულა – 122:117. გრეგ პოპოვიჩის გუნდმა პირველი პერიოდი დამაჯერებლად მოიგო და სწორედ ეს გამოდგა საბოლოოდ გადამწყვეტი.

სანდრო მამუკელაშვილმა 7 წუთში 8 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 3-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ცხადია, არასრულ 8 წუთში 8 ქულა ურიგო შედეგი არ არის.

◎ ხუთი რგოლი

უკლებლივ ყველაო...

ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი კეისი ვასერმანი 2028 წლის თამაშებში ნებისმიერი ქვეყნის სპორტსმენის მონაწილეობის დაშვების უზრუნველსაყოფად აშშ-ის მთავრობასთან მიღწეულ შეთანხმებაზე იტყობინება.

„მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ჩვენი ქვეყანა ხელმისაწვდომია აბსოლუტურად მთელი მსოფლიოს ათლეტებისთვის,“ – მუმბაიში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 141-ე სესიაზე განაცხადა ვასერმანმა.

ცოტა ხნით ადრე IOC-ის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის შესარჩევი კომისიის ხელმძღვანელმა და ხორვატეთის ყოფილმა პრეზიდენტმა კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩმა განაცხადა, რომ ქვეყნებს, რომლებიც არღვევენ ოლიმპიურ ქარტიას და ზღუდავენ სხვა ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობას, შეიძლება ჩამოერთვათ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება.

◎ ოვალური ბურთი

სხვადასხვა სცენარით

ახალი ზელანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშია. „ოლ ბლეექსმა“ დაამტკიცა, რომ მისი ჩამოწერა არასდროს შეიძლება.

არადა, ტურნირის წინ ზელანდიას მთავარ ფავორიტებში ბევრი არ მოიაზრებდა, მაგრამ ფაქტი უტყუარია! არგენტინასთან ნახევარფინალში ახალ ზელანდიას პრობლემა არ ჰქონია, რაც უკვე მოსალოდნელი იყო.

არგენტინამ მხოლოდ ორი ჯარიმა გაიტანა, მეტი ვერაფერი შეძლო ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში. სამაგიეროდ, „ოლ ბლეექსი“ მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდა და 44:6 იმარჯვა.

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა ფინალშია და ტიტულის დასაცავად ითამაშებს.

„ქურციკებმა“ ნახევარფინალში ინგლისის ნაკრებს უდრამატულეს ბრძოლაში 16:15 აჯობეს. „სტად დე ფრანსზე“ შეიძლება ნაკლებად სანახაობრივი, მაგრამ მართლაც ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოვიდა ორი უმაღლესი კლასის გუნდის შესრულებით, რომლებიც ფინალს იმსახურებდნენ.

უნდა ითქვას, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ინგლისის ნაკრები ლიდერობდა, რომელმაც პირველ ტაიმში 4 შედეგიანი ჯარიმა მიითვალა, ოთხივე ოუენ ფარელმა, რასაც აფრიკელებმა ორი ჯარიმით უპასუხეს.

53-ე წუთზე ფარელმა არეკნით სხვაობა გაზარდა (15:6), მაგრამ ამის შემდეგ სამხრეთ აფრიკამ ხელთ იგდო უპირატესობა. ჯერ სნაიმანმა მიითვალა ლელო, რომელიც ანდრე პოლარდმა გარდასახა და მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე სხვაობა შემცირდა – 15:13.

გადამწყვეტი კი 78-ე წუთზე პოლარდის გატანილი ჯარიმა იყო. სამხრეთ აფრიკა პირველად სწორედ ამ დროს დაწინაურდა და დარჩენილ ორ წუთში უპირატესობა შეინარჩუნა.

ამრიგად, 28 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ნამდვილი კლასიკა იქნება სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებს შორის, ხოლო ერთი დღით ადრე მესამე ადგილისთვის ერთმანეთს ინგლისი და არგენტინა გაეჯიბრებიან.

„მზიურის“ პარკს შემატებული, ულამაზესი რეკრეაციული სივრცე...

„მზიურის“ პარკს შემომატებულ, ახლად მოწყობილ რეკრეაციულ სივრცეში თბილისის მერის ინიციატივით კონცერტი გაიმართა.

დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, ღონისძიებაზე კახა კალაძესთან ერთად მერის მოადგილე ანდრია ბასილაია, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ვაკის რაიონის გამგეები დავით კვინიკაძე, ასევე საკრებულოს წევრები და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი იმყოფებოდნენ.

კახა კალაძის განცხადებით, აღნიშნული პროექტის განხორციელებით, „მზიურის“ ტერიტორია კიდევ 2,5 ჰექტარით გაიზარდა. ეს ტერიტორია იყო კერძო საკუთრება, რომელიც მუნიციპალიტეტმა დაუბრუნა დედაქალაქს. დღეს ის არის თბილისელების საკუთრება.

რეაბილიტაციის ფარგლებში გავაკეთეთ „მზიურის“ გაგრძელება, 2,5 ჰექტარი ტერიტორია მთლიანად მოწესრიგდა. ყველას გვახსოვს, დღეს აქ რა მდგომარეობა იყო. მართლაც, ძალიან სასიამოვნო სივრცეა. ახალი ხე-მცენარეებია, საპარკე ინფრასტრუქტურა,ფანჩატურები, ტრენაჟორები, განათება, საპიკნიკე სივრცე, სარწყავი სისტემა. ბევრი ადამიანი სტუმრობს „მზიურს“ და ეს ახალი სივრცე კიდევ უფრო მეტ ადამიანს მოიზიდავს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კონცერტზე მსმენელის წინაშე სხვადასხვა ჟანრის შემსრულებლები წარდგნენ. მათ შორის, დუეტი „ჯორჯია“, სალომე ბაკურაძე, ნათია დუმბაძე, „მასტერი“, დავით გომართელი, სალიო, ოთო ნემსაძე და ნოა. თბილისის მერიამ ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გასულ წელს, ადგილმონაცვლეობის გზით დაიბრუნა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, სპორტული მოედანი, საპიკნიკე არეალი, ცხოველების სასეირნო სივრცე, გადმოსახედი, გარე განათების, ვიდეომეთვალყურეებისა და სარწყავი სისტემები. გარდა ამისა, ჩატარდა გამწვანებისთვის საჭირო ღონისძიებები: დაირგო 858 ძირი ხე, 1 553 ბუჩქი და 3 050 ბალახოვანი მცენარე, ასევე, 18 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა და დაიგო ბალახის საფარი.

თიანეთის ვანდალები შეესივნენ!

თიანეთის მუნიციპალიტეტის ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში პერიოდულად ვანდალური ფაქტები ფიქსირდება, – ამის შესახებ აღნიშნულია მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დაზიანებულია საბავშვო სივრცის ინფრასტრუქტურა, სკამები, გარე განათების სვეტი, შენობების ფანჯრები და სხვა.

„ვანდალიზმის შემთხვევები, ასევე, გვხვდება დაბა თიანეთის სხვადასხვა სკვერსა და მუნიციპალური ტრანსპორტის მოსაცდელ ადგილებში. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურის განზრახ დაზიანების შემთხვევები უფრო მეტად ხშირია ახლად რეაბილიტირებულ სივრცეებში. ვანდალიზმი დასაგმობია და მას უნდა გაემიჯნოს ყველა, ვისაც ქვეყნის წინსვლა სურს! “, – ნათქვამია ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



„პურის ფესტივალი 2023“ ახალციხეში

ახალციხეში „პურის ფესტივალი 2023“ გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ხორბლის ენდემურ სახეობებს, დაეგემოვნებინათ ადგილზე გამომცხვარტი. სხვადასხვა სახეობის ხორბლის პური, ადგილობრივი პროდუქტები და სამცხე ჯავახეთის ტრადიციული კერძები. ფესტივალზე გაიმართა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაც. პურის ფესტივალი ერთდღიანი ღონისძიებაა, რომელიც „ელკანას“ ინიციატივით 2010 წლიდან, უკვე მეხუთედ იმართება ახალციხეში.

„ღვინობისთვე 2023“ მთაწმინდის პარკში

მთაწმინდის პარკში „ღვინობისთვე 2023“ გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ახალ და მცირე მარნებში დაყენებული ღვინო. ღონისძიება ღვინის დღეების ფარგლებში, ღვინის კლუბის ორგანიზებით გაიმართა.

„2016 წლიდან ჩვენ ამ მცირე მასშტაბის ფესტივალს ვატარებთ, სადაც წარმოდგენილი არიან მცირე მეღვინეები. წელს ამ ფესტივალზე წარმოდგენილია 35 მარანი“, – განაცხადა ღვინის ფესტივალის ორგანიზატორმა ნათია გაჩეჩილაძემ.

ლიტერატურული რთველი კახეთიდან

ალმანახი „ხორნაბუჯი“

2023 წლის ოქტომბერში გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ 2(15) ნომერი.

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **დავით ჯინაშვილის** ფოტოთი და **ნინო ჭაბაშვილის** ნახატებით. ყდის მე-2 გვერდი **იოსებ ნონეშვილის** 105-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსს – „რთველი არის თუ შენი ქორწილი“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას დედოფლისწყაროელი მხატვრის **ნინო ჭაბაშვილის** შესახებ, რომლის ნახატებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანი.

ალმანახი იხსნება **ლევან ალავერდაშვილის** გახსენებით. ეს შესანიშნავი პოეტი წლეულს მაისში 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი პოეზია გულგრილს არავის ტოვებდა. ის იყო დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ პოეზიის განყოფილების ხელმძღვანელი და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. გამოცემული აქვს ერთი პოეტური კრებული „ნუ დამაჯერებთ“. რუბრიკაში იხილავთ ლევანასდმი მიძღვნილ წერილებს და ლექსებს, როგორც მისი გარდაცვალების შემდეგ, ასევე მის სიცოცხლეში. შემდეგ კი გთავაზობთ **ლევან ალავერდაშვილის** შემოქმედების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელთაგან ზოგი პირველად იბეჭდება, რასც წინ უძღვის ჟურნალ „რიწის“ მთავარი რედაქტორის, მწერლისა და პუბლიცისტის **ნანა ქარდავას** წერილი – „ლევან ალავერდაშვილზე“.

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **მაია მინდელის, დალი მაზმიშვილის, ამირან გოდერძიშვილის, პაატა სურმანიძის, ნინო ახალაძის, მიშო გაბუნიას** და **ნათელა ქურციკიძის** ლექსებს.



რუბრიკაში „პროზა“ შეგიძლიათ წაიკითხოთ: **ლანა მანველის, ეკატერინე ფავლენიშვილის, მაყვალა შოშიაშვილის** და **ჯემალ მეხრიშვილის** მოთხრობები.

რუბრიკაში „სამავშო გვერდები“ იბეჭდება **ნუნუ ძამუკაშვილის** და **ზურაბ მამულაშვილის** სამავშვო ლექსები.

ხოლო ალმანახის ტრადიციული რუბრიკა „დედოფლისწყაროს ისტორიიდან“ გვთავაზობს **დალი ბაღაშვილის** წერილს „საყოფაცხოვრებო ნაგებობანი ქიზიყში – დარბაზული სახლი“.

რუბრიკაში „ხელოვნება“ გაეცნობით **მარიკა პოპიაშვილის** წერილებს „მარინე **ცხვედიაშვილის შემოქმედებითი საღამო“** და „ნინო ჭაბაშვილის პერსონალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“ და ასევე **ნანა ჭიჭინაძის** წერილს – „დაისი **100 წლისაა“**.

ხოლო რუბრიკაში „ხსოვნა“ **ნანა ჭიჭინაძის** წერილით – „გამოთხოვება დიდ ხელოვანთან“, ვიხსენებთ საქრთველოს სახალხო არტისტს **თენგიზ მუშკუდიანს**.

„ოლე“

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2023 წლის მეოთხე ნომერი.

IV ნომერში მხატვრული ლიტერატურის რუბრიკით ქვეყნდება **ანა მანოშვილის, მარიამ გოჯიაშვილის, კახაბერ პავლიაშვილის, ციური მესხიშვილის, ჯემალ შანიძის, შავლეგო არაგველის, ნუნუ ძამუკაშვილის** ლექსები; **ლანა მანველის** რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, **ხათუნა გოზალიშვილის, გიორგი ბერძნიშვილისა და მაია დიაკონიძის** მოთხრობები.

რუბრიკით „ახალგაზრდული ჩანართი – ნაბიჯი“ იბეჭდება **გიორგი ზუბიტაშვილის, მაკა ღარიბაშვილის, თამარ ბურნაძის, ნათია ჯავშანიშვილის, ნინო მოსიაშვილის, გიორგი გუგეშაშვილის, მზია აზნიაშვილის, ელიზბარ ნერსესოვის, ნანა ბართიშვილის, ნანა სულხანიშვილის, თათია გოშაძის, ზაირა როსტომაშვილისა და ქეთევან ჭანკოტაძის** მხატვრული ნაწარმოებები.

„თარგმანის“ რუბრიკაში გაეცნობით **გალინა გრანოვსკაიას** მოთხრობას „რომანტიკული გაცნობა“.

კრიტიკა-პუბლიცისტიკის რუბრიკაში წაიკითხავთ **ნანა რჩეულიშვილის, ქეთევან ჯერვალიძის, ნინო დარმაისელისა და აკაკი დაუშვილის** წერილებს.

ნომერი გაფორმებულია მხატვარ **გიორგი სონღულაშვილის** ნახატებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი)** და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი)** მხარდაჭერით.

გამოცხადდა საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით, საბავშვო ლიტერატურული პრემია „ნაკადული“ მესამედ გამოცხადდა.

პრემიაზე განაცხადების მიღება დღეიდან, 23 ოქტომბრიდან, იწყება.

პრემიის მიზანია, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ინტერესის გაზრდა. ასევე, საბავშვო წიგნებზე მომუშავე ავტორების წახალისება და მათი შემოქმედების პოპულარიზება.

პრემია გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

- **საუკეთესო პროზაული წიგნი;**
- **საუკეთესო პოეტური წიგნი;**
- **საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი;**
- **საუკეთესო საგანმანათლებლო-შემეცნებითი წიგნი.**

ნომინაციების გამარჯვებულებს პროექტის ფარგლებში შერჩეული ხუთწევრიანი ჟიური გამოავლენს. გამარჯვებულებს გადაეცემათ პრიზი და 2500-ლარიანი პრემია.

თბილისის ჯაზის ბიგ-ბენდი ჰელსინკიში

ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და თბილისის მერიის მხარდაჭერით, „ქართული კულტურის დღეების“ ფარგლებში, ჰელსინკის ერთ-ერთ ისტორიულ საკონცერტო დარბაზში „თბილისის ჯაზის ბიგ-ბენდის“ კონცერტი გაიმართა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ღონისძიებას ფინეთის მინისტრთა კაბინეტის და პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, კულტურის, შოუ ბიზნესისა და მედიის, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„მუსიკოსებმა – დინი ვირსალაძემ, მარიკო ებრალიძემ, თემურ საჯაიამ ცნობილი ქართული და უცხოური კომპოზიციები შეასრულეს, რამაც აუდიტორიის უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ასევე, კონცერტის დასასრულს, ჯაზ-კომპოზიცია შეასრულა, ფინეთში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსმა და მევიოლინემ ვიტალი სამხარაძემ. კონცერტზე გაიხსენეს ქართული ჯაზის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის საპატიო მოქალაქე თამაზ (თათუზა) ყურაშვილი.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთში, ირაკლი ხუცურაული დამსწრე საზოგადოებას პირადად ესაუბრა უძველესი ქართული კულტურისა და ტრადიციების შესახებ. ღონისძიება მეტად თბილ გარემოში ჩატარდა. სტუმრებს საელჩო ქართული ღვინით და კერძებით გაუმასპინძლდა“.

თამი ცივსისხლიანად მოკლეს...

„ჰამასის“ თავდასხმის დროს დაღუპული ქართველი ებრაელი გოგონას **თამარ გოლდბერგის** და, მარიამ გოლდბერგი სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს და თამარის გარდაცვალებას ადასტურებს.

„14 დღის შემდეგ ღმერთმა წამართვა იმედი, რომელიც მქონდა. შაბათს გადავწყვიტე სახარება შეგვენახა. თამი ცივსისხლიანად მოკლეს ხოცვა-ჟლეტის დროს. მის სხეულსაც კი ვერ დავინახავთ სრულყოფილს. ღმერთმა ყველაზე მკაცრი განაჩენი მოგვისაჯა. ღმერთმა ჩააქრო ჩვენი სინათლე.

მე ყველაფერი გავაკეთე, გპირდები, რომ ყველაფერი გავაკეთე. თქვენ უნდა იყოთ მეტისმეტად სუფთა ამ საშინელი სამყაროსთვის. სამუდამოდ დაგიტოვებ გულში. ბოდიში, რომ ჯოჯოხეთის გავლა მოგიწია და თუ შევაჯამებ ერთ წინადადებაში „შენ იცხოვრე ერთი წამით, ბოლო მომენტამდე“. მიყვარხარ და არასოდეს დაგივიწყებ. დაკრძალვა კვირას რიშონ ლეზიონზე გაიმართება“, – დაწერა გარდაცვლილის დამ, მარიამ გოლდბერგმა.

ცნობისთვის, 7 ოქტომბერს ისრაელში ჰამასის სისხლიანი თავდასხმის შემდეგ, დაკარგულებს შორის აღმოჩნდა ქართველი ებრაელი თამარ გოლდბერგი. გოგონას მეგობრები და ოჯახის წევრები, ამ დღეების განმავლობაში აცხადებდნენ, რომ ისინი თამარს საკუთარი ძალებითაც ეძებდნენ.

ჟურნალისტიკა სახიფათო პროფესია

ომი არავის ინდობს, მათ შორის არც ჩვენს კოლეგებს. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ცნობით, 7 ოქტომბერს ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ბრძოლის დაწყების შემდეგ სულ მცირე 22 ჟურნალისტი დაიღუპა. მათ შორისაა 18 პალესტინელი, სამი ისრაელელი და ერთი ლიბანელი ჟურნალისტი. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ინფორმაციით, რვა ჟურნალისტი დაშავდა, სამი კი დაკარგული ან დაკავებულია.

„ჟურნალისტები არიან მშვიდობიანი მოქალაქეები, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან საქმეს კრიზისის დროს და არ უნდა იყვნენ მეომარი მხარეების სამიზნე“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„გურული დღიურები“ კინოში

რეჟისორი ლევან კოღუაშვილი გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ ეკრანიზაციის გადაღებას იწყებს. უკვე რამდენიმე წელია ეს ტანდემი წიგნის გასცენარებასა და ფილმად ქცევისთვის მოსამზადებელ ეტაპს გადის.

ზუსტად ათი წლის წინ დაიწერა და გამოიცა „გურული დღიურები“. ათი წლის შემდეგ კი 2024 წელს გამოვა ფილმი „გურია“, რომლის გადაღების იდეა სწორედ დღიურების მოტივებს დაეყრდნო. **„მე ამ ფილმის სცენარის ავტორთაგანი და პროდიუსერი ვარ – აცხადებს წიგნის ავტორი გიორგი კეკეკლიძე. სურათი რამდენიმე ქვეყნის კო-პროდუქციაა – შვეიცარია, ჰოლანდია, თურქეთი, ბულგარეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია და, რა თქმა უნდა, საქართველო. სამი თვის მანძილზე გურიაში გადაღების შესაბამისი პავილიონები იქნება მოწყობილი და ძალიან ბევრი უცხოელი ჩამოვა, გარდა იმისა, რომ საკმაოდ სოლიდური თანხა დაიხარჯება, რაც რეგიონისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი ამბავია. ფილმი ოთხმოცდაათიანების საგაა, ადამიანების ისტორია – ბრძოლის და გადარჩენის.“** – წერს კეკელიძე.

ხის დარგვის საერთაშორისო დღე

22 ოქტომბერს ხის დარგვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, სოფელ მისაქციელის საჯარო სკოლის ეზოში დარგვის აქცია გაიმართა.

სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20-მდე წიწვოვანი სახეობის ნერგი დაირგო. ღონისძიების მიზანი ტყის მოვლა-აღდგენასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

„ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტი ქვეყნის მასშტაბით ტყის აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელებაა. ამ მიმართულებით საქმიანობის მასშტაბები თვალსაჩინოდ გაიზარდა, რითიც სააგენტო ასრულებს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მიმართ ნაკისრ ვალდებულებას, რის მიხედვითაც, ქვეყანამ 2030 წლისთვის 4000 ჰა-ზე მეტ ფართობზე უნდა უზრუნველყოს დეგრადირებული ტყეების აღდგენა. ბოლო წლების განმავლობაში, ეროვნული სატყეო სააგენტო ტყის აღდგენის ღონისძიებებს ამ სამიზნე მაჩვენებლის გათვალისწინებით ახორციელებს. 2023 წლისთვის, სააგენტო, ჯამში, 1535 ჰა ტყის მასივს აღადგენს“, – აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, კახა ცერცვაძემ. აღსანიშნავია, რომ ხის დარგვის საერთაშორისო დღე 1874 წელს დაარსდა. მისი დამაარსებელი ამერიკელი ბოტანიკოსი, სოფლის მეურნეობის მინისტრი სტერლონგ მორტონია.

პიჯაკი... ბაქტერიული ცელულოზისგან

დანიურმა მოდის ბრენდმა Ganni და ბიომასალების მწარმოებელმა მექსიკურმა კომპანიამ Polybion ბაქტერიული ცელულოზისგან პიჯაკი შექმნეს, – ამის შესახებ CNN-იუწყება.

ამისთვის მათ კამბუჩა და ხილი გამოიყენეს. კამბუჩა იგივე ჩაის სოკო მექსიკაში პოპულარული სასმელია. ბაქტერიული ბიომასა, რომელიც პიჯაკის შესაქმნელად გამოიყენება სწორედ ამ სასმელიდან მოდის. კერძოდ, საუბარია ცელიუმზე, რომელსაც შემდეგ ხილის კონსერვაციის დროს მიღებულ ნარჩენებს „აჭმევენ“. ფერმენტაციის შედეგად მათ ტყავის მსგავსი მასალა მიიღეს, რომლისგანაც შემდეგ ტანსაცმელი დაამზადეს. დიზაინერები ამბობენ, რომ ასეთი ქსოვილის წარმოება გაცილებით ეკომეგობრულია, ვიდრე ნატურალური ტყავის.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 26 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6719; ევრო - 2.8215;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2629;
100 რუბლი - 2.6621; თურქული ლირა - 0.0967;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5732;
1000 სომხური დრამი - 6.5770

ამინდი 23 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: **sakresp@top.ge**
და **sakresp@mail.ru**
ვებ-გვერდი: **www.sakresp.ge**